პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ГБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
29 სექტემბერი
1939 წ.
№ 224 (5624)
ფასი 10 კაპ.

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე პარტიის შემდგომი განმტკიცების დარგში ერთერთ ძირითად ამოცანად დაგვისახა: „სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, ავამაღლოთ პარტიის წევრთა შეგნებულობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები“.

ბელადის ამ მითითების განუხრელად გატარების საფუძველზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან, მათ ჩვენი დიადი სამშობლოს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის წრიდან ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში მიიღეს საუკეთესო ადამიანები, კომუნიზმის საქმისადმი ბოლომდე ერთგულნი.

პარტორგანიზაციის მოვალეობა არ შეიძლება ამოწურულად ჩავთვალოთ მოწინავე ადამიანთა მხოლოდ პარტწევრობის კანდიდატად მიღებით. პირიქით, მიღებული ამ დროიდან იწყებს ნამდვილი ბოლშევიკური სკოლის გავლას. კომუნისტი იზრდება, იწრთობა და ორგანიზაციულ ჩვევებს ითვისებს პრაქტიკულ სამუშაოზე. ამიტომ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტწევრობის კანდიდატებს ვასწავლოთ ბოლშევიკური საქმიანობა, მივცეთ მათ კონკრეტული პარტიული დავალება, გამოვაწრთოთ ისინი პარტიის ხაზისა და გადაწყვეტილებათა გატარებისათვის ბრძოლაში. უნდა გვახსოვდეს, რომ კანდიდატი პარტიის მომავალი წევრია.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილების შემდეგ გააძლიერეს რა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რამდენადმე გააუმჯობესეს პარტიის წევრობის კანდიდატების აღზრდა. ახალგაზრდა კომუნისტები ბოლშევიზმს სწავლობენ საბრძოლო-პრაქტიკული მუშაობით, პარტიული ორგანიზაციები გაბედულად აბამენ კანდიდატებს პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა დააწინაურეს პარტიის წევრობის კანდიდატები ხელმძღვანელ სამეურნეო და საბჭოთა სამუშაოზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მარტო ლენინის რაიკომმა უკანასკნელ ხანებში პარტწევრობის დაახლოებით 250 კანდიდატი დააწინაურა, ისინი ცუდად როდი ასრულებენ თავის მოვალეობას. ახალგაზრდა კომუნისტები დიდი მონდომებით და სიყვარულით მუშაობენ, რათა გაამართლონ ბოლშევიკური პარტიის წევრობის მაღალი სახელწოდება. მაგრამ ყველა პარტორგანიზაცია ჯეროვნად როდი ეხმარება კანდიდატებს. ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ, მიიღო რა ამხანაგები პარტიის რიგებში, დაივიწყა, რომ მათ დახმარება და აღზრდა ესაჭიროებათ.

პარტწევრობის კანდიდატებთან მუშაობაში ზოგან ადგილი აქვს ფორმალურ დამოკიდებულებას. კანდიდატებს არ ეძლევათ შესაფერი პარტიული დავალება, რომელიც უსათუოდ გარკვეულ როლს ითამაშებს მათს წრთობაში. ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის პარტორგანიზაცია ნაკლები ყურადღებით ეპყრობა კანდიდატთა აღზრდას. მაგალითად, აქ კანდიდატს მარო ჯიმშელეიშვილს წითელი ჯვრის საზოგადოების ტექნიკური მდივნობა მიანდვეს, ხოლო ლუკა ფაშუაშვილს ერთერთ საამქროში გაზეთის გავრცელება და მთელი მათი აღზრდის საქმე ამით ამოსწურეს. კომუნალური ბანკის პარტორგანიზაციაში კანდიდატს ამხ. დავითაშვილს პარტიულ დავალებად უთვლიან, რომ ის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრია. თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტორგანიზაციას კი ჰგონია, რომ პარტკანდიდატს ამხ. მამედოვს პარტიული დავალება აქვს, რაკი იგი სასულე ორკესტრში უკრავს.

სუსტად მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 3-ის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, ამიერ-კავკასიის რკინიგზის, „მკერავის“ № 2 ფაბრიკის, ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის, საქართველოს ფინსახკომის და სხვა პარტიული ორგანიზაციები. აქ კანდიდატების უმეტესობას არა აქვს პარტიული დავალება და ვისაც აქვს, მათაც პარტბიუროები არასაკმაოდ ეხმარებიან დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებაში. სტალინის რაიონის ზოგიერთ პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის კანდიდატები ჯერ კიდევ კარგად ვერ იცნობენ პარტიის წესდებას. ამის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი. როდესაც პარტკანდიდატს ამხ. ქიტუაშვილს (მეორე სახანძრო რაზმის პარტორგანიზაცია), რომელსაც მიმდინარე წლის მარტში შეუსრულდა საკანდიდატო სტაჟი, ჰკითხეს, თუ რატომ არ ზრუნავს წევრად გადარიცხვაზე, მან განაცხადა, „მე ორი წლის საკანდიდატო სტაჟით ვარ მიღებული და ორი წელი ჯერ არ გასულაო“.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ ეხმარებიან ახალგაზრდა კომუნისტებს ბოლშევიზმის დაუფლებაში. საქსოფლმომარაგების პარტბიუროს მდივანი ამხ. სააკიანი ჯერ კიდევ არ არის საქმის კურსში, თუ როგორ სწავლობენ კომუნისტები ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას. მას საუბარიც კი არ ჩაუტარებია ინდივიდუალურად მომეცადინე ამხანაგებთან. იგივე შეიძლება ითქვას მაკარონის ფაბრიკის, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ და „მკერავის“ № 1 ფაბრიკის პარტორგანიზაციების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობს იმ კანდიდატების ბედისადმი, რომელთაც საკანდიდატო სტაჟი შეუსრულდათ. თბილისის სტალინის რაიონში 560 სტაჟგადაცილებული კანდიდატია (მათ შორის თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოში 61 კაცი, თამბაქოს ფაბრიკაში—31, კალინინის ქარხანაში—15 და ა. შ.); მოლოტოვის რაიონში—240. დიდია სტაჟგადაცილებულ კანდიდატთა რაოდენობა ორჯონიკიძის, ლენინისა და სხვა რაიონებშიც.

ზოგიერთი პარტორგანიზაცია რომ ნაკლებ ინტერესს იჩენს ახალგაზრდა კომუნისტების იდეურად აღზრდის საქმეში, ეს მთელი სიცხადით გამოირკვა პარტწევრობის კანდიდატთა იმ სარაიონო თათბირებზე, რომლებიც ამ დღეებში ჩატარდა თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მკვეთრად გავაუმჯობესოთ მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, დავეხმაროთ მათ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის საფუძვლიანად შესწავლაში, ჩავაბათ ისინი პარტიულ საბჭოთა და სამეურნეო მუშაობაში. კანდიდატთა დიდი არმია ფართოდ უნდა გამოვიყენოთ აგიტატორებად ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში, კონკრეტულად დავეხმაროთ დავალებული საქმის შესრულებაში, ხშირად მოვიწვიოთ ისინი, ვესაუბროთ მათ წესდებისა და პროგრამის გარშემო, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა გარშემო. უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტები იწრთობიან, ეუფლებიან მუშაობის ბოლშევიკურ სტილს პრაქტიკულ სამუშაოზე, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ამიტომ საკანდიდატო სტაჟის გავლა ფორმალურ საქმედ კი არ უნდა გავხადოთ, არამედ პარტიაში თვითეული მიღებულისათვის ის უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საფეხურს, რათა ღირსეულად მოემზადოს წევრობისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუღალავად უნდა იმუშაონ პარტიის წევრობის კანდიდატების ბოლშევიკურად აღზრდისათვის, მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ საკ. კ. პ. (ბ) წესდების მოთხოვნით, რომ „ყველა ის პირი, ვისაც პარტიაში შესვლა სურს, გადის საკანდიდატო სტაჟს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ“.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობა

1939 წლის 28 სექტემბერი

წითელი არმიის ნაწილები, განაგრძობდნენ რა წინსვლას სადემარკაციო ხაზისაკენ, 28 სექტემბრის განმავლობაში გამოვიდნენ შემდეგ ხაზზე: გრაევო, ჩიჟევი (20 კილომეტრზე მაზოვეცკის სამხრეთ-დასავლეთით), მეჟირეჩიე, კრენიცი (12 კილომეტრზე ქ. ლიუბლინის სამხრეთ - აღმოსავლეთით), შჩებჟეშინი, მალოდიჩი (15 კილომეტრზე ლიუბლინის ჩრდილო-დასავლეთით), პერემიშლი, უსტრჟიკიდი (40 კილომეტრზე პერემიშლის სამხრეთ - დასავლეთით).

წითელი არმიის ნაწილებმა განაგრძობდნენ რა ოპერაციებს პოლონეთის ჯარის ნაშთების ლიკვიდაციისათვის დასავლეთ ბელორუსიასა და დასავლეთ უკრაინაში, განაიარაღეს და ტყვედ წამოიყვანეს 5 ცხენოსანი პოლკი 15 საარტილერიო ქვემეხითურთ კრუპკენიცის რაიონში და, გარდა ამისა, მოახდინეს პოლონეთის ჯარის ნაწილების ცალკეულ ჯგუფთა ლიკვიდაცია.

უცნობი წყალქვეშა ნავი თავს დაესხა საბჭოთა გემ „პიონერს“

ლენინგრადი, 28 სექტემბერი (საკდესი). საბჭოთა გემ „პიონერის“ კაპიტნის რადიოცნობის მიხედვით, 28 სექტემბერს დაახლოებით ღამის 2 საათზე ნარვის ყურეში შესვლისას ამ გემს თავს დაესხა უცნობი წყალქვეშა ნავი და გემი იძულებული გახდა გარიყულიყო ქვებზე „ვიგრუნდის“ მეჩეჩის რაიონში. გემის ავარიის ადგილას წყალქვეშა სამუშაოთა განსაკუთრებული დანიშნულების ექსპედიციამ გაგზავნა მაშველი პარტიები. გემის ეკიპაჟს საფრთხე არ მოელის.

ბ-ნმა შუქრუ სარაჯოღლუმ დაათვალიერა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ა.-წ. 27 სექტემბერს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა შუქრუ სარაჯოღლუმ დაათვალიერა სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა.

მინისტრს თან ახლდნენ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე ბ-ნ ჯევად აჩიკალინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნ ფერიდუნ ჯემალ ერკინი და საგარეო საქმეთა სამინისტროს დირექტორი ბ-ნი ზექი პოლარი.

○

27 სექტემბერს, საღამოს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ სარაჯოღლუ დაესწრო ბალეტ „შჩელკუნჩიკის“ წარმოდგენას დიდ თეატრში.

სტახანოველ ქალთა თათბირი

გუშინ, 28 სექტემბერს ჩატარდა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის სტახანოველ ქალთა თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს და ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ამიერ-კავკასიის ყველა ქალისადმი. მიმართვა ყველა დიასახლისს და კოლმეურნე ქალს მოუწოდებს ჩაებან წარმოებაში, დაეხმარონ თავიანთ ქმრებსა და ძმებს საწარმოო ფრონტზე ახალი აღმავლობისათვის.

თათბირზე სიტყვა აიღო სამჭედლო საამქროს სტახანოველმა ქალმა ეკატერინე ხუბულურმა.

— მე დიასახლისი ვიყავი, მაგრამ ეს ვიწრო საქმიანობა არ მაკმაყოფილებდა. გადავწყვიტე ქარხანაში დამეწყო მუშაობა. გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანე. დაზგის მუშაობა ორ კვირაში ავითვისე, მალე სტახანოველი გავხდი. ახლა დავალებას 200-250 პროცენტით ვასრულებ. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქალს მოვიდნენ ჩვენთან ქარხანაში, გვიჩვენონ სტახანოვური მუშაობის ნიმუშები.

შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა სტახანოველმა ქალმა მინასაშვილმა:

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი სტახანოვური შრომით უპასუხებს საბჭოთა მთავრობის სახელოვანი მეთაურის ამხანაგ ვ. მოლოტოვის მოწოდებას—პატიოსანი და თავგანწირული შრომით დავეხმაროთ ჩვენს უძლეველ წითელ არმიას. მე მფრინავი ქალი ვარ, წარმოებისაგან მოუწყვეტლად შევისწავლე თვითმფრინავის მართვა. და თუ სამშობლოს ინტერესები მოითხოვს, ჩვენ თვითმფრინავებზეც სათანადო ადგილს დავიჭერთ—ყოველ წუთს მზად ვართ დავეხმაროთ ჩვენს მოძმე ხალხებს.

პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტახანოველი ქალები ნატროშვილი, გურგენიძე, შუტკოვა, მალენკოვა, ნატრაშვილი, ფილიპოვსკაია, კრავცოვა, კრავეცი და სხვები.

თათბირმა მიმართვა და რეზოლუცია მქუხარე ოვაციით მიიღო.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 1940 წელს

მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა მოიწონა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექციის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებათა პროექტი 1940 წლის გამოფენის გახსნის მოსამზადებლად.

მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის დამთავრებულ უნდა იქნას სადარგო და ზონალურ პავილიონების თემატიურ-საექსპოზიციო გეგმების გადასინჯვა. გეგმაში შეტანილ იქნება მთელი რიგი ახალი თემა.

გამოფენის მთავარმა კომიტეტმა მითითება მისცა, რომ ყველაზე უფრო მოწინავე რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მიღწევათა აღწერის დროს ნაჩვენები უნდა იქნეს სტახანოვური მოძრაობის გაქანება და მუშაობის მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ექსპონენტების წარმატებებს.

1940 წელს პავილიონებში ფართოდ იქნება ნაჩვენები მეცხოველეობის წარმატებანი პარტიისა და მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა მიხედვით, მეცნიერების ნოვატორთა მიღწევები, უფრო სრულად იქნება ასახული სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, განსაკუთრებით ადგილობრივი და მინერალური სასუქების გამოყენების ხერხები. მთელი რიგი პავილიონი მოახდენს ახლადდასახლებული კოლმეურნეობების წარმატებათა დემონსტრაციას.

(საკდესი).

ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკამ ვადამდე შეასრულა გეგმა

ამხ. ვ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს წარმოთქმულმა სიტყვამ შრომითი ენტუზიაზმის ახალი ტალღა გამოიწვია ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა კოლექტივში.

ფაბრიკამ მესამე კვარტალის გეგმა 25 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

ფაბრიკის დირექტორი
ქვატაშიძე
პარტბიუროს მდივანი
რობაქიძე

გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებისათვის სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ

27-28 სექტემბრის განმავლობაში მოსკოვში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. მოლოტოვსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ფონ-რიბენტროპს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების საკითხზე.

მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ ამხ. სტალინი და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. შკვარცევი, ხოლო გერმანიის მხრით — გერმანიის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი შულენბურგი.

მოლაპარაკება დამთავრდა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ დადებული გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა და სსრ კავშირისა და გერმანიის მთავრობათა განცხადების ხელმოწერით, აგრეთვე ამხ. მოლოტოვსა და ბ-ნ ფონ-რიბენტროპს შორის წერილების გაცვლა-გამოცვლით ეკონომიურ საკითხებზე. ქვემოთ მოყვანილია ხათანადო საბუთები.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ

სსრ კავშირის მთავრობა და გერმანიის მთავრობა პოლონეთის ყოფილი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მხოლოდდამხოლოდ თავის ამოცანად სთვლიან აღადგინონ ამ ტერიტორიაზე მშვიდობიანობა და წესრიგი და უზრუნველჰყონ იმ ხალხთათვის, რომლებიც იქ ცხოვრობენ, მათი ნაციონალური თავისებურებებისათვის შესაფერი მშვიდობიანი არსებობა. ამ მიზნით ისინი შეთანხმდნენ შემდეგში:

მუხლი I.

სსრ კავშირის მთავრობა და გერმანიის მთავრობა საზღვრად პოლონეთის ყოფილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ორივე სახელმწიფოს ინტერესებს შორის აწესებენ იმ ხაზს, რომელიც გავლებულია ამასთან დართულ რუკაზე და უფრო დაწვრილებით იქნება აწერილი დამატებით ოქმში.

მუხლი II.

ორივე მხარე I მუხლში ორივე სახელმწიფოს ინტერესებს შორის დაწესებულ საზღვარს აღიარებს საბოლოოდ და თავიდან აიცილებს მესამე სახელმწიფოს ყოველგვარ ჩარევას ამ გადაწყვეტილებაში.

მუხლი III.

საჭირო სახელმწიფო გარდაქმნას I მუხლში აღნიშნული ხაზის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ატარებს გერმანიის მთავრობა, ხოლო ამ ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე — სსრ კავშირის მთავრობა.

მუხლი IV.

სსრ კავშირის მთავრობა და გერმანიის მთავრობა ზემოაღნიშნულ გარდაქმნას უყურებენ, როგორც საიმედო საფუძველს მეგობრულ ურთიერთობათა შემდგომი განვითარებისათვის თავიანთ ხალხთა შორის.

მუხლი V.

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს ბერლინში.

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
შედგენილია ორ დედნად გერმანულსა და რუსულს ენაზე.

მოსკოვი, 1939 წლის 28 სექტემბერი.

სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით
ვ. მოლოტოვი

გერმანიის მთავრობის მაგიერ
ი. რიბენტროპი

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მთავრობათა განცხადება

1939 წლის 28 სექტემბერი

იმის შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობამ და სსრ კავშირის მთავრობამ დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულებით საბოლოოდ მოაწესრიგეს პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, და ამით შეჰქმნეს მტკიცე საფუძველი ხანგრძლივი მშვიდობიანობისათვის აღმოსავლეთ ევროპაში, ისინი ურთიერთ თანხმობით გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ ერთის მხრით გერმანიასა და მეორე მხრით ინგლისსა და საფრანგეთს შორის ახლანდელი ომის ლიკვიდაცია უპასუხებს ყველა ხალხის ინტერესებს. ამიტომ ორივე მთავრობა თავის საერთო ძალებს მიმართავს, თუ საჭირო იქნება სხვა მეგობარ სახელმწიფოებთან შეთანხმებით იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მალე მიაღწიოს ამ მიზანს. მაგრამ, თუ ორივე მთავრობის ეს ცდა უშედეგოდ დარჩება, მაშინ ამნაირად დადასტურებული იქნება ის ფაქტი, რომ ინგლისი და საფრანგეთი პასუხისმგებელი იქნებიან ომის განგრძობისათვის; ამასთან, ომის განგრძობის შემთხვევაში გერმანიისა და სსრ კავშირის მთავრობები კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს საჭირო ზომების შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით
ვ. მ. მოლოტოვი

გერმანიის მთავრობის მაგიერ
ი. რიბენტროპი

1939 წლის 28 სექტემბერი.

მოსკოვი, 1939 წლის 28 სექტემბერი

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბატონ იოახიმ ფონ-რიბენტროპს,

ამჟამად მოსკოვშია.

ბატონო მინისტრო,

ვემყარებით რა ჩვენს მოლაპარაკებას, პატივი გვაქვს დაგიდასტუროთ, რომ სსრ კავშირის მთავრობა ჩვენს მიერ მიღწეული საერთო პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე და მის შესაბამისად აღსავსეა ნება-სურვილით ყოველნაირად განავითაროს ეკონომიური ურთიერთობა და საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის. ამ მიზნით ორივე მხარის მიერ შედგენილი იქნება ეკონომიური პროგრამა, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირი გერმანიას მიაწოდებს ნედლეულს, ხოლო ამის საკომპენსაციოდ გერმანია თავის მხრივ საბჭოთა კავშირს სამრეწველო საქონელს მიაწოდებს, რაც იწარმოებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამასთან ორივე მხარე ამ ეკონომიურ პროგრამას აგებს იმგვარად, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის საქონელბრუნვამ თავისი ოდენობით კვლავ მიაღწიოს წარსულში მიღწეულ უმაღლეს მოცულობას.

ორივე მთავრობა დაუყოვნებლივ გასცემს საჭირო განკარგულებებს ზემოაღნიშნული ზომების გატარების შესახებ და იზრუნებს იმაზე, რომ მოლაპარაკება რაც შეიძლება მალე დაიწყოს და ბოლომდე იქნას მიყვანილი.

განმეორებით მიიღეთ, ბატონო მინისტრო, რწმუნება თქვენდამი ჩემი ულრმესი პატივისცემისა.

ვ. მოლოტოვი

○

ამხ. მოლოტოვის 28 სექტემბრის წერილის პასუხად გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ფონ-რიბენტროპისაგან მიღებულია წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ გერმანიის მთავრობა თანახმაა გასცეს ყველა საჭირო განკარგულებანი ამხ. მოლოტოვის წერილის შესაბამისად.

სადილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ იოახიმ ფონ-რიბენტროპის პატივსაცემად

ა.-წ. 28 სექტემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა სადილი გამართა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ იოახიმ ფონ-რიბენტროპის პატივსაცემად. სადილს დაესწრნენ ბ-ნ მინისტრის მხლებელნი ბ-ნი ფორსტერი, ბ-ნი ჰაუსი, ბ-ნი შნურე, ბ-ნი კორდტი, ბ-ნი გენკე, ბ-ნი ფონ-ჰალემი, ბ-ნი შულცე და ბ-ნი შტაინბიკელი.

გერმანიის მოსკოველი საელჩოს შემადგენლობიდან დაესწრნენ გრაფი ფონ-დერ-შულენბურგი, ბ-ნი ფონ ტიპელსკირხი, გენერალ-ლეიტენანტი კესტრინგი და ბ-ნი ჰილგერი.

მოხსენებულ პირთა გარდა დაესწრნენ ამხ. ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ლ. პ. ბერია, ნ. ა. ბულგანინი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ფ. გორკინი, ვ. პ. პრონინი, ვ. პ. პოტიომკინი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, ა. ა. შკვარცევი, ე. ი. ბაბარინი, რ. პ. ხმელნიცკი, ს. პ. კოზირევი, ვ. ნ. ბარკოვი, ა. მ. ალექსანდროვი, ა. ა. სობოლევი და ვ. ნ. პავლოვი.

სადილის დროს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ბ-მა იოახიმ ფონ-რიბენტროპმა სიტყვით მიმართეს ერთმანეთს. სადილმა მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

სსრ კავშირსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთდახმარების პაქტისა და სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ

24-28 სექტემბრის განმავლობაში მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. მოლოტოვსა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ სელტერს შორის საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის ურთიერთდახმარების პაქტისა და სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ ამხანაგები სტალინი და მიქოიანი, ხოლო ესტონეთის მხრივ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე პროფესორი ი. ულუოტსი, პროფესორი ა. პიიპი და ესტონეთის ელჩი ბ-ნი ა. რეი.

მოლაპარაკება დამთავრდა 28 სექტემბერს ურთიერთდახმარების პაქტისა და სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერით. ურთიერთდახმარების პაქტის ტექსტი და სავაჭრო შეთანხმების შინაარსი მოყვანილია ქვემოთ.

ურთიერთდახმარების პაქტი სსრ კავშირსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ერთი მხრივ, და ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მეორე მხრივ,

1920 წლის 2 თებერვლის საზავო ხელშეკრულებით დაწესებულ იმ მეგობრულ ურთიერთობათა განვითარების მიზნით, რომლებიც დამყარებულია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა და მეორე მხარის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის აღიარებაზე;

აღიარებენ რა, რომ 1920 წლის 2 თებერვლის საზავო ხელშეკრულება და 1932 წლის 4 მაისის ხელშეკრულება თავდაუსხმელობისა და კონფლიქტთა მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ წინანდებურადვე მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ვალდებულებათა მტკიცე საფუძველს წარმოადგენენ.

დარწმუნებულებმა, რომ ურთიერთუშიშროების უზრუნველყოფის ზუსტი პირობების განსაზღვრა ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამება,

საჭიროდ სცნეს დასდონ ურთიერთშორის ქვემოთმოყვანილი პაქტი ურთიერთდახმარების შესახებ და ამ მიზნისათვის თავის რწმუნებულებად დანიშნეს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

ვ. მ. მოლოტოვი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,

ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა:

კარლ სელტერი, საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელი რწმუნებულნიც შეთანხმდნენ ქვემოდმოყვანილის შესახებ:

მუხლი I.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს აღმოუჩინოს ერთმანეთს ყოველგვარი დახმარება, მათ შორის სამხედრო დახმარებაც იმ შემთხვევაში, თუ მოხდება პირდაპირი თავდასხმა ან შეიქმნება თავდასხმის საფრთხე ევროპის რომელიც უნდა იყოს დიდი სახელმწიფოს მხრივ ხელშეკრულების დამდები მხარეების საზღვაო საზღვრების მიმართ ბალტიის ზღვაში ან მათი სახმელეთო საზღვრების მიმართ ლატვიის რესპუბლიკის ტერიტორიით, აგრეთვე III მუხლში აღნიშნული ბაზების მიმართ.

მუხლი II.

სსრ კავშირი ვალდებულებას კისრულობს აღმოუჩინოს ესტონეთის არმიას დახმარება შეღავათიან პირობებში შეიარაღებითა და სხვა სამხედრო მასალით.

მუხლი III.

ესტონეთის რესპუბლიკა უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირისათვის უფლებას იქონიოს ესტონეთის კუნძულებზე საარემააზე (ეზელი), ხიიუმაზე (დაგო) და ქალაქ პალდისკში (ბალტიის ნავსადგური) სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზები და რამდენიმე აეროდრომი ავიაციისათვის, იჯარის უფლებით ხელსაყრელ ფასად. ზუსტი ადგილები ბაზებისა და აეროდრომებისათვის გამოიყოფა და მათი საზღვრები წესდება ურთიერთშეთანხმებით.

საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების დაცვის მიზნით, სსრ კავშირს უფლება აქვს იყოლიოს ბაზებისა და აეროდრომებისათვის გამოყოფილ უბნებში თავისი ხარჯით საბჭოთა სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალების მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა, ამ ძალების მაქსიმალური რიცხვი განისაზღვრება განსაკუთრებული შეთანხმებით.

მუხლი IV.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს არ შეჰკრას რაიმე კავშირი ან არ მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებში.

მუხლი V.

ამ პაქტის ცხოვრებაში გატარება ოდნავადაც არ უნდა შეეხოს ხელშეკრულების დამდები მხარეების სუვერენულ უფლებებს, კერძოდ მათს ეკონომიურ სისტემასა და სახელმწიფო წყობილებას.

ბაზებისა და აეროდრომებისათვის გამოყოფილი უბნები (მუხლი III) რჩება ესტონეთის რესპუბლიკის ტერიტორიად.

მუხლი VI.

ეს პაქტი ძალაში შედის რატიფიკაციის აქტების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. ამ აქტების გაცვლა-გამოცვლა მოხდება ქალაქ ტალინში ამ პაქტის ხელმოწერის დღიდან ექვსი დღის განმავლობაში.

ამ პაქტის მოქმედების ვადა არის ათი წელი, ამასთან, თუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარე არ სცნობს საჭიროდ ამ პაქტის დენონსირებას ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე, უკანასკნელი ავტომატურად განაგრძობს თავის მოქმედებას შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში.

მუხლი VII.

ეს პაქტი შედგენილია ორ ორიგინალად, რუსულსა და ესტონურ ენაზე, ქალაქ მოსკოვში 1939 წლის 28 სექტემბერს.

1939 წლის 28 სექტემბერი.

ვ. მოლოტოვი
ქ. სელტერი

○

სავაჭრო შეთანხმება ითვალისწინებს ესტონეთსა და სსრ კავშირს შორის საქონელბრუნვის გადიდებას ოთხნახევარჯერ და აწესებს საერთო ბრუნვის ოდენობას ორივე სახელმწიფოს შორის 39 მილიონი ესტონური კრონის რაოდენობით.

სსრ კავშირი ესტონეთის რესპუბლიკას აძლევს უფლებას სსრ კავშირის რკინიგზებითა და წყლის გზებით საქონლის ტრანზიტისას მურმანსკში, სოროკაში და შავი ზღვის ნავსადგურებში.

სავაჭრო შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე საბჭოთა საქონლის ტრანზიტის უფრო გაფართოებას ესტონეთის ნავსადგურებით.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესია

მეორე დღე

28 სექტემბერს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში მიმდინარეობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველი სესიის სასექციო სხდომები.

ინსტიტუტის ცალცალკე დარბაზებში თავი მოიყარეს პროფესორებმა, დოცენტებმა, მეცნიერ მუშაკებმა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციის სხდომამ პროფ. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით განიხილა სამი მოხსენება. მოხსენება „ზმნათა გარდამავლობის პრობლემისათვის ქართველურ ენებში“ გააკეთა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა აკ. შანიძემ; მოხსენებით — „ერგატიული კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური სახეობებისათვის კავკასიურ ენებში“ გამოვიდა პროფ. არნ. ჩიქობავა. მესამე მოხსენება გააკეთა პროფ. ვ. თოფურიამ თემაზე — „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციის სხდომის პარალელურად მიმდინარეობდა ფიზიკა-მათემატიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა სექციების სხდომები.

ფიზიკა-მათემატიკურ სექციის სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ვ. კუპრაძე, განხილულ იქნა პროფ. მ. ნოდიას მოხსენება „შავი ზღვის სანაპიროების მაგნიტური ქვიშებისა და მაგნიტური ველის შესახებ“. დოცენტმა ე. ხარაძემ სექციაზე წაიკითხა მოხსენება „გალაქტიკის აგებულების პრობლემისა და აბასთუმნის ობსერვატორიის გამოკვლევების შესახებ კოსმიური შთანთქმის დარგში“. პროფ. ა. ბალაბუევის მოხსენება შეეხებოდა „კავკასიის კლიმატის გარკვევას თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით“.

ქიმიურ მეცნიერებათა სექციის (ხელმძღვანელი — პროფ. ზ. კანდელაკი) სხდომას წარედგინა პ. ცისკარიშვილის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა მანგანუმის შლამების ქიმიური გამდიდრების და პერმანგანატის წარმოების ტექნოლოგიისა და კონტროლის გამოკვლევებს. ფ. თავაძემ მოხსენება გააკეთა არალითონურ ჩანართთა გავლენის შესახებ თუჯის თვისებებზე.

ბიოლოგიური მეცნიერებათა სექციამ მოისმინა პროფ. ვ. ზაიცევის მოხსენება „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ზოოლოგიური სექტორის საქმიანობისა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ“. პროფ. ი. ჩხიკვიშვილი თავის მოხსენებაში გამოვიდა საქართველოს ორნითოფაუნის ძირითადი ელემენტების ანალიზით.

ამ მოხსენებათა გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვ. თოფურიამ, ა. შანიძემ, გ. უშაკომა, დ. ერისთავმა, ლ. რეხენბერგმა, დორფმანმა და სხვ.

დღეს გაგრძელდება სექციების მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა

ქართული ლიტერატურული კრიტიკა და მისი ამოცანები

ამხ. სიმონ ჩიქოვანის მოხსენება*

ამხანაგებო! მე წილად მხვდა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის საერთო სურათი გადამეშალა თქვენს წინაშე და ამავე დროს ჩემს მოვალეობას შეადგენს მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები გავარკვიო თქვენის დახმარებით. წინასწარ მოგახსენებთ, რომ მე ვერ მოგცემთ ჩვენი წარსული კრიტიკული აზროვნების განხილვას. ჩემი მოხსენება უმთავრესად მწერლის შენიშვნებია და საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი საბჭოთა მწერლობის ერთი წარმომადგენლის შთაბეჭდილებაა ქართული ლიტერატურული კრიტიკიდან.

მხატვრული კრიტიკა ისეთივე დარგია მწერლობისა, როგორც პოეტური მეტყველება და საერთოდ სიტყვაკაზმული მწერლობა. მხატვრული კრიტიკა ისეთივე აღმზრდელია და ხალხის ესთეტიკური კულტურის ჩამომყალიბებელი, როგორც ხელოვნების სხვა დარგები. ამის გამო, შეიძლება ითქვას, პოეტური კულტურის განვითარება უნდა იწვევდეს ლიტერატურული კრიტიკის განვითარებასაც. დონე პოეტური პროდუქციისა და ლიტერატურული კრიტიკისა თანაბარი უნდა იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ლიტერატურული კრიტიკის მოვალეობაა ახსნას და განმარტოს მხატვრული მეტყველება და ამ განმარტებაში გამოიჩინოს, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, თვითმხედველობის უნარი ე. ი. თავისებურად ახსნას და განმარტოს სამყარო, პოეტურ სახეებში მოცემული.

იშვიათად მინახავს მწერალი, პოეტი და ბელეტრისტი, რომელიც კმაყოფილი ყოფილიყოს ჩვენი ლიტერატურული კრიტიკით. ხშირად ისმის ჩივილი, კრიტიკა არ არსებობს, კრიტიკამ ვერ დაინახა რისი თქმაც მინდოდაო, ე. ი. კრიტიკას არა აქვს თვითმხედველობის უნარი. მაშასადამე ერთი შეხედვით, თითქოს ჩვენი მხატვრული მწერლობისა და ლიტერატურის კრიტიკის დონე სხვადასხვაა. ილია ფიქრობდა თავის დროზე, რომ ჩვენს კრიტიკას შინაგანი ინიციატივა აკლია. თუ კრიტიკოსი უცხო მწერალზე სწერს, მას გადაკითხული აქვს უცხო კრიტიკოსების ნაწერები ამ მწერალზე და ადვილად ახერხებს წერილის დაწერას, ხოლო ერთ ქართულ ლექსს რომ წინ გაუძღვეს და თავის ადგილი მიუჩინოს, ძლიერ უძნელდებაო. ასეთი ფიქრით მოცულმა ილიამ თვითონ აიღო კალამი კრიტიკოსისა და თავის ადგილი მიუჩინა ბარათაშვილის, ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გურამიშვილის შემოქმედებას.

ილიას შემდეგ კიტა აბაშიძემ სცადა ქართული სიტყვის ოსტატები გაერჩია და მათი მხატვრული სპეციფიკურობა გამოემჟღავნებინა. მაგრამ კიტა აბაშიძე მხოლოდ იმ მწერლებს შეეხო, რომლებიც მის მიერ შემუშავებულ სქემებს ექვემდებარებოდნენ; მან გაარჩია მხოლოდ ის მწერლები, რომელთა ანალოგია უცხოელ მწერალთა შორის იპოვა და ამგვარად გამოკვეთა თავის კრიტიკული ეტიუდები. ნაწილობრივ ეს ტრადიცია ჩვენში ბოლო დრომდე დარჩა. თუ ქართველი მწერალი, მისი ლექსი თუ რომანი მოგვაგონებს უცხოელი მწერლის შემოქმედებას, მაშინ ამგვარი პოეტის და ბელეტრისტის განხილვა ადვილია და ნაწარმოების კრიტიკული დაძლევაც შესაძლებელი. ამიტომ ჩვენში სიმბოლისტებს ძლიერ ადვილად არჩევდნენ და არკვევდნენ. ამიტომაც ქართველი სიმბოლისტებიც ადვილად სწერდნენ თავის დროზე სტატიებს ერთმანეთზე, რადგან მათი კრიტიკა უფრო ხშირად უცხოელ პოეტთა ანალოგიებით ამოიწურებოდა, — იტყოდნენ ეს მალარმეს ჰგავს, ეს ლაფორგს, ბრიუსოვს და სხვ. ამგვარად გაინაწილეს პოეტებმა უცხო პოეტების სახელები და ორ ქართველ პოეტს მეორე უცხო პოეტის სახელიც ერქვა.

ამგვარად იკარგებოდა დიდი ტრადიცია — მე-19 საუკუნის პოეტური კულტურისა, როდესაც ქართველი პოეტები ნამდვილი ქართველი პოეტები იყვნენ და არა ანარეკლი უცხო პოეზიისა. ქართული ლექსი იყო არა განმეორება რომელიმე უკვე დაწერილი უცხოელი ლექსისა, არამედ ნამდვილი ახალი ნაწარმოები. ქართულმა რაპულმა კრიტიკამაც ნაწილობრივ ეს ტრადიცია მიიღო და, როდესაც შემდეგი თაობის პოეტები გამოვიდნენ, რაპელები ცდილობდნენ ქართველი პოეტები მაქაფა ყოფილიყვნენ რუსი პროლეტარული პოეტებისა და რუსი ფუტურისტებისა, თუმცა უნდა ითქვას ჩვენი პოეტები თავიანთი მხატვრული შესაძლებლობებით მცირედად იყვნენ დაკავშირებულნი ზემოხსენებულ რუს პოეტებთან. ეს ძველი „იარლიკები“ კრიტიკაში დღესაც ხშირად ისმის და ეს ანალოგიებიც ხშირად მეორდება. საჭიროა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას მეტი შინაგანი ინიციატივა მოვთხოვოთ. თუ ამას შესძლებს ჩვენი კრიტიკა, მაშინ ის უფრო მკაფიოდ დაინახავს ქართული საბჭოთა მწერლობის თავისებურებას — თუ რამდენად შესძლო ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ახალი საბჭოთა სინამდვილე აესახა და თავისი პოეტური სამყარო შეექმნა.

აღნიშნული განწყობილება ლიტერატურული კრიტიკისა ახლა თანდათანობით ისპობა; ახლა ქართულ ლექსს თუ რომანს თამამად მიუძღვის ქართველი კრიტიკოსი, რათა მიუჩინოს მას სათანადო ადგილი. ჩვენში ახლა ბევრი იწერება თანამედროვე მწერლობის პროდუქციაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ჩვენ ვვარდებით მეორე უკიდურესობაში. კრიტიკოსი ხშირად სწერს ისეთი ნაწარმოებების კრიტიკას, რომელიც მას არ აინტერესებს და კრიტიკულ წერილს ხშირად მოვალეობის მოსახდელად აქვეყნებს. პუშკინი ამბობდა, შთაგონება საჭიროა გეომეტრიაშიც ისე, როგორც პოეზიაშიო. მით უმეტეს ის აუცილებელია ლიტერატურის კრიტიკოსისათვის. უარყოფითი თუ დადებითი შეფასება ნაწარმოებისა უნდა ხდებოდეს დიდი შთაგონებით. მწერლის წინაშე მოვალეობის მოხდის ნაცვლად, კრიტიკას უნდა ახასიათებდეს მეტი სიმძაფრე, რადგან უამისოდ ის ლიტერატურული კრიტიკა არ იქნება. კალენდარული წერილები აჩვენებს კრიტიკას მასალისადმი უყურადღებობას და ინერტულობას. სადაც არ არის განსაკუთრებული სიყვარული ნაწარმოებისადმი, იქ არ არის ნამდვილი კრიტიკა. ეს პუშკინის ნათქვამია და უნდა გვახსოვდეს ყოველთვის.

ლიტერატურის ისტორიაში ჩვენ გვაქვს იმის მაგალითი, როდესაც მხატვრული სიტყვის ოსტატებმა თითქმის სრულიად უარჰყვეს პროფესიული ლიტერატურული კრიტიკა. ჩვენი დიდი კლასიკოსები უსათუოდ ეხმარებოდნენ კრიტიკას, როდესაც კრიტიკული სტატიებით თუ ლიტერატურული წერილებით გამოდიოდნენ საზოგადოების წინაშე და თვით მწერლებმა პირველმა ახსნეს დიდი მწერლების შემოქმედება. ბარიატინსკიმ პირველმა უწოდა პუშკინს რუსული პოეზიის პეტრე დიდი და ილიამ პირველად გახსნა ბარათაშვილის გენია. ილიამ პირველად აღიარა ვაჟას ნიჭის ტიტანური ძალა. ეს ჩვენ გვასწავლის სიტყვის ოსტატებსა და ლიტერატურულ კრიტიკოსებს შორის დიდი კონტაქტის და მეგობრული მუშაობის საჭიროებას.

ჩვენი მწერლები და ჩვენი კრიტიკოსები ძლიერ დაშორებული არიან ერთმანეთს და ქართული სიტყვის ოსტატებს იშვიათად შეჰყავთ კრიტიკოსი თავიანთ შემოქმედებით ლაბორატორიაში. კრიტიკოსს უნდა ჰყავდეს თავისი საყვარელი მწერალი და ესმოდეს მისი ზრახვანი და მისწრაფებანი. ბევრი ჩვენი კრიტიკოსი და ლიტერატორი დაინტერესებული არ არის შემოქმედებითი მუშაობით, რომელსაც თანამედროვე საბჭოთა მწერლობა ეწევა.

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობის შემცველია და აუცილებლად საჭირო საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკოსისათვის ძველი წარსული მემკვიდრეობის შესწავლა და განხილვა. მაგრამ საბჭოთა კრიტიკოსი ვალდებულია ორგანულად მონაწილეობა მიიღოს იმ სოციალისტური კულტურის მშენებლობაში, რომელსაც თანამედროვე სიტყვის ოსტატები ეწევიან. სამწუხაროდ ზოგიერთი ნიჭიერი და კულტურული ლიტერატორი გაურბის ახალ მწერლობაზე თავისი აზრის გამოთქმას. დამახასიათებელია, რომ ჩვენი თაობის ნიჭიერი მწერალი ამხ. აკ. გაწერელია, რომლის კალამს ეკუთვნის არაერთი და ორი წერილი თანამედროვე მწერლობაზე და წარსულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, ამ ბოლო დროს თითქმის სტოვებს თანამედროვე მწერლობაზე წერილების წერას.

თუ ჩვენში ამ ბოლო დროს დაიწერა რამდენიმე კარგი ლიტერატურული წერილი, ამას უნდა ვუმადლოდეთ ერთნაირად სიტყვის ოსტატებსა და კრიტიკოსებს. მათმა მეგობრულმა აზრთა გაცვლა-გამოცვლამ და სიახლოვემ შექმნა მთელი რიგი კარგი ლიტერატურული წერილებისა, რომლებმაც მკაფიოდ დაგვიხატეს და გვაჩვენეს ჩვენი დღევანდელი მწერლობის მიღწევები. ასეთ წერილებად შეიძლება ჩაითვალოს შალვა რადიანის წერილი ი. გრიშაშვილზე, დ. ბენაშვილის საინტერესო წერილი კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე, ბეს. ჟღენტის წერილი „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენაზე“, ნატროშვილის წერილი კ. ლორთქიფანიძესა და დემნა შენგელაიაზე, ლევან ასათიანის წერილი შალვა დადიანის შემოქმედებაზე, აკ. გაწერელიას დიდი სიყვარულით დაწერილი წერილი გალ. ტაბიძის პოეზიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი პოეზიის შესახებ ბევრი კარგი წერილი დაიწერა, მაგრამ ხშირად ეს წერილები არ არკვევენ პოეტების თავისებურებებს. პოეტები მაშაშვილი, ლეონიძე, გრიშაშვილი, გაფრინდაშვილი, მოსაშვილი, აბაშელი და სხვები უმრავლეს შემთხვევაში საკმარისად არ არიან დახასიათებულნი და მათი თავისებურებანი აღნიშნული არ არის. ამასწინათ ამხ. ნატროშვილმა ერთი საინტერესო დებულება წამოაყენა. მან სთქვა: საბჭოთა პოეტების გატაცება წარსულით მოგვაგონებს რენესანსის ოსტატების გატაცებას ანტიკური ხელოვნებით და არა რომანტიკოსების სიყვარულს წარსულისადმიო. ამის მაგალითად მან წამოაყენა რამდენიმე ქართველი მწერალი, მაგრამ ჩამოთვლილი ამხანაგები ყველა როდი ასრულებს ამგვარ ტენდენციას. ზოგიერთი მათგანის გატაცება წარსულით სწორედ რომანტიკოსების გატაცებას მოგვაგონებს და მათი საწყისები უნდა ვეძიოთ გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში. ხშირად მათს მწერლობაში, სტატიკური დიდებაა წარსულისა და არა რენესანსისებური გატაცება წარსულ შემოქმედთა ოსტატობით. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ დავინახოთ სხვაობა შემოქმედთა შორის. როდესაც ვაჟა-ფშაველა თავის კრიტიკოსებს ეკამათებოდა, თავის სიმართლეს ადასტურებდა შექსპირისა და ესქილის ანალოგიებით. იგი ამბობდა: შექსპირი და ესქილი ვეფხვებია და მათთან შედარებით მე კატა ვარო, მაგრამ კატა უფრო ჰგავს ვეფხვსა, ვიდრე ფრინველს. პოეტების სახეც კრიტიკულ წერილში გამორკვეულ უნდა იქნას მკაფიოდ, რომ დავინახოთ, ის არწივის მოდგმისაა თუ ვეფხვისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ჩვენი პოეზიაც არის დამნაშავე, თუ პოეზიის შესახებ საინტერესო წერილები არ იბეჭდება. ჩვენი მხატვრული პროზა უფრო მრავალფეროვანი ხდება, ვიდრე ქართული პოეტური მეტყველება. ქართული საბჭოთა პოეზია მაღალი კულტურის მატარებელია და მან დიდი სახელი დაიმკვიდრა მთელს საბჭოთა კავშირში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მასაც დაეტყო გაერთფეროვნება. მონათესავე სახეები, ჩვეული მეტაფორები, ლექსალური ზომების ერთნაირობა, ლექსიკის სილარიბე და თემების ფოტოგრაფიულობა ძალიან დამახასიათებელი გახდა თანამედროვე საბჭოთა პოეზიისათვის. ნაწილობრივ თვითკმაყოფილების გრძნობაცაა გავრცელებული პოეტთა შორის. პოეტისათვის აუცილებელია ორგანულობა თემისა, ე. ი. ინტიმი შემოქმედსა და მასალას შორის. ვკითხულობთ ხშირად ლექსს და ვხედავთ — ლექსი ყოველმხრივ გამართულია, მაგრამ ვგრძნობთ, რომ თემას კი არ აუღელვებია პოეტი, არამედ მას ლექსი დაუწერია იმისათვის, რომ თავისი წვლილიც შეეტანა პოეზიაში.

ამგვარმა განწყობილებებმა შექმნა პოეტური ერთფეროვნება. თითქმის სავსებით დაიკარგა პოეტის ლირიკული დაფიქრება. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „საყურე“ ჩვენ გვხიბლავს არა მარტო მისი ლირიკული განწყობილება, არამედ თემის ლირიკული გაფიქრებაც. ამგვარი ლირიკული გაფიქრება ან უკეთ ლირიკული სიუჟეტი დღეს თითქმის გადის პოეზიიდან და მის ნაცვლად შემოდის საგნის პირდაპირი ფოტოგრაფია და აღწერა. პოეტურ მეტყველებაში უბრალო აღწერები სცვლიან ნამდვილ ლირიკულ სიუჟეტს და ლირიკულ თქმას. ჩვენმა პოეზიამ გაიარა საგრძნობი გზა. მან დასძლია შიშველი აგიტაციის გატაცება. სოციალისტურმა ცხოვრებამ ახალი მასალა მისცა ქართულ საბჭოთა პოეზიას და იგი სრულყოფილ სახეებში გამოვლინდა. არაერთი და ორი შესანიშნავი ნაწარმოები შეუქმნია ქართულ საბჭოთა პოეტს.

პოეზიისათვის გულწრფელობა საჭიროა ისე, როგორც ლირიკული გაფიქრება. აუცილებელია სამყაროს ახალი და ახალი კუთხეებით დანახვა და ახალი და ახალი მხატვრული ფორმებით ასახვა ჩვენი სინამდვილისა. საჭიროა თემის ლირიკული ხმით აწევა და ჩვენი სოციალისტური ეპოქის ფილოსოფიურ სიმაღლეზე აყვანა. პეიზაჟის აღწერა, ან პირადი აღტაცების გამოაშკარავება ჯერ კიდევ არ არის დიდი პოეზია. პოეზიას სჭირია დიდი დრამატიზმი და ლირიკული აზროვნება. არც კოლმეურნეობის ილუსტრაცია არის დიდი ბელეტრისტიკა. პოეზია უნდა ხატავდეს და ადასტურებდეს ახალ ცხოვრებას. კრიტიკაც თითქმის ყურადღებას არ აქცევს ჩვენი პოეტური კულტურის ერთფეროვნების საკითხს. კრიტიკა უმეტეს შემთხვევაში არ არჩევს, თუ რა კუთხით, რა მხატვრული საშუალებებით აშუქებს მწერალი აღებულ თემას. მწერლისათვის თემა არ არის გადამწყვეტი. გოეტე ამბობდა — იფიგენიის შესახებ ბევრჯერ დაიწერა, მაგრამ სასურველია ახალი კუთხით კიდევ გაშუქებულ იქნეს ეს თემაო. ამგვარად მრავალფეროვნება გამოსახატავი საშუალებებისა აუცილებელია მწერლისათვის. ახალი გაშუქება თემისა. მწერლის ინდივიდუალობის მაჩვენებელია.

ჩვენი კრიტიკა ხშირად სრულიად უყურადღებოდ სტოვებს მწერლის ლექსიკას, მის პოეტურ ფიგურებს და მწერლის მხატვრულ შესაძლებლობას. ის არ შედის პოეტის, მწერლის შემოქმედებითს ლაბორატორიაში. ჩვენმა კრიტიკამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მწერლის ოსტატობას. კრიტიკოსი არ უნდა გაურბოდეს პოეტური ნაწარმოების რიტმის, მეტრის და მთლიანი კომპოზიციის განხილვას.

ხშირად ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება კრიტიკული წერილებიდან, თითქოს ჩვენს მწერლებს ერთიმეორისაგან განმასხვავებელი თვისებები არ ახასიათებდეთ. განმასხვავებელი თავისებურების აღნიშვნით კრიტიკოსი ძალიან ეხმარება შემოქმედს და ამის შემდეგ შემოქმედი მეტი ყურადღებით და სიყვარულით მუშაობს თავის ინდივიდუალურ სახეზე. თავისებურება და ახალი გაშუქება თემისა ჰქმნის პოეტურ მრავალფეროვნებას. ამ ბოლო დროს დაიბეჭდა ამხ. ა. სულავას წერილები ი. გრიშაშვილზე, ა. მაშაშვილზე და ი. აბაშიძეზე. ეს წერილები სიყვარულით არის დაწერილი, მაგრამ ავტორი გაურბის ხსენებული პოეტების მხატვრული ხერხებისა და მათი პოეტური თავისებურებების გარჩევასა და აღნიშვნას. ასევე ითქმის ამხ. ვ. წულუკიძის წერილებზე, რომლებიც უმთავრესად ჩვენი ბელეტრისტების ნაწარმოებებს ეხება, მაგრამ არსად არ არკვევს მათს მხატვრულ თავისებურებებს. მხოლოდ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ განხილვისას ვ. წულუკიძემ გაარჩია „გვადი ბიგვას“ კომპოზიციები, წყობა და უსათუოდ საინტერესოდაც.

არსებობს კრიტიკაში შიში ნაწარმოებზე ახალის თქმისა. თუ ვინმემ მოასწრო და მონათლა ნაწარმოები რაიმე სახელით, შემდეგ მას უმრავლესობა იმეორებს და არ ცდილობს გადაარქვას სახელი.

გაურკვეველია ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში ხალხურობის საკითხებიც. ზოგიერთ ახალგაზრდა პოეტს ხალხურობად მიაჩნია ხალხურ ჰანგებზე ლექსის სტილიზაცია, ხოლო ზოგი ახალგაზრდა პოეტი ფიქრობს, თუ პრიმიტიული მხატვრული ფორმებით აღდგენილ იქნა ცხოვრების სინამდვილე, ხალხურობა შემოქმედებისა მიღწეული იქნება.

მე-19 საუკუნეში ორი დიდი პოეტი მოღვაწეობდა, რომელთაც ხალხურობა მწერლობისა გაიგეს ზედმიწევნით თავისებურად და ღრმად. ორივემ ხალხურობისათვის, ბრძოლას შეალია თავისი შემოქმედებითი ენერგია. ეს პოეტები იყვნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. აკაკი წერეთელმა პოეზიაში უმთავრესად გამოხატა უშუალოდ ხალხის მისწრაფებანი. აკაკი წერეთელი აღწევდა თავისი ლირიკული აზრის გამოხატვას ხალხისათვის მისაწვდომი პოეტური მეტყველებით. ის ხალხის ყოველდღიურ ჭირვარამზე ხალხური სიმღერების მონათესავე ხმით გალობდა. მისთვის მეჩონგურე იყო ყველაზე დიდი პოეტური სახე. მაგრამ აკაკიმ შესძლო ხალხური მეტყველებით შეექმნა სრულიად ახალი ლექსალური ფორმები და თვით მოეხდინა ზეგავლენა ხალხურ პოეზიასა და ხალხურ მეტყველებაზე. ჩვენი თანამედროვე პოეტების სიმღერების სისუსტე იმაშია, რომ ისინი ხშირად გარეგნული გადამღერებაა ხალხური პოეზიისა. ისინი ვერ ახდენენ გავლენას თვით ხალხურ პოეზიასა და ხალხურ მეტყველებაზე, რადგან პოეტური სახეები და პოეტური მისწრაფებანი ისე ორგანულად არ გამოდის ხალხის ფანტაზიიდან, ხალხის ზრახვებიდან. ამიტომ თანამედროვე პოეტის სიმღერა მაშინ იქნება ხალხური, როდესაც მასში მკაფიოდ იქნება გამოთქმული ხალხის ზრახვანი.

არის მთელი რიგი ლექსები, რომლებიც გარეგნულად ხალხურს ჰგავს და ხალხში მაინც არ ვრცელდება. ალ. აბაშელის გადმოცემით, აკაკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა პოეტების გამოთქმებსა და სახეებს. იგი მათ უფარდებდა ხალხის ფანტაზიას და თუ მათ შორის ხედავდა ნათესაობას, ეს პოეტის გამარჯვებად მიაჩნდა. სახეების რეალიზმი და მკაფიობა, ხალხური მეტყველების ცოდნა და მისი ორგანული შეთვისება მიიყვანს პოეზიას ნამდვილ ხალხურობამდე. ვაჟა უფრო შორს წავიდა ხალხური პოეზიის შესწავლაში. მან ხალხური ფორმა ლექსისა სრულიად შეითვისა. მაგრამ ვაჟას ხალხურობა და სიდიადე ამაში სრულიად არ მდგომარეობს. მან შეითვისა ღრმა ფილოსოფიური შინაარსი ქართული სიმღერებისა და მითებისა და მისთვის გასაგები გახდა თუ როგორი ხასიათების და სახეების დახატვას თხოულობდა მისგან ხალხი, ამიტომაც გამოჰკვეთა მან ჩვენი ხალხის ტიტანური სახეები. ხალხის გმირები ხალხის ფანტაზიიდან აღებული სახეებით დახატა და ამით უდიდესი მონუმენტები აღმართა ჩვენს პოეზიაში. აკაკის ზედმიწევნით ესმოდა ხალხური მუსიკა და ხალხური ფანტაზია. ვაჟასთვის გასაგები იყო ხალხური სახეები და ხალხური ფანტაზია. ჩვენს დღევანდელ მწერლობას ალბათ აკლია ხალხური ფანტაზიიდან ორგანულად გამოვლენილი სახეები და ხალხური ფანტაზიიდან შექმნილი ფერადების მონარჯვება. გასაოცარი გმირები ჰყავს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, მაგრამ მწერლობამ ჯერჯერობით ვერ გამოკვეთა მათი შესაფერისი მხატვრული სახეები, რადგან ნამდვილი ხალხურობის საიდუმლო ჩვენთვის ჯერ არ არის გამორკვეული.

ჩვენმა კრიტიკამ და ჩვენი სიტყვის ოსტატებმა შეთანხმებული მუშაობით უნდა გამოარკვიონ ხალხურობის ნამდვილი გზა ჩვენს მწერლობაში.

მე არ მინდა უარვყო ის, რაც გაკეთებულა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში. ჩვენი საბჭოთა კულტურის დიდ შენაძენად მიმაჩნია გერონტი ქიქოძის წერილები ქართველ რომანტიკოსებზე, აკაკი გაწერელიას წერილები ჩვენი კლასიკოსების შესახებ, შალვა რადიანის მონოგრაფია რაფიელ ერისთავზე, დიმიტრი ბენაშვილის წიგნი ყაზბეგზე, ლევან ასათიანის წერილები აკაკის შემოქმედებაზე, გიორგი ლეონიძის გამოკვლევები და ალ. ბარამიძის შრომები.

ჩვენს ახალ თაობას სჭირია კიდევ მეტი ცოდნა წარსული მემკვიდრეობისა. ჩვენ გვჭირდება ლენინურ-სტალინური იდეებით გამსჭვალული ძლიერი და მკაფიო კრიტიკა ახალი ქართული საბჭოთა მწერლობისა. მწერლები და კრიტიკოსები საერთო ძალღონით ამ ნაკლს გამოასწორებენ.

---

*) იბეჭდება შემოკლებით.

ყრილობის დღიური

28 სექტემბრის დილის სხდომა

28 სექტემბერს დილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. კ. გამსახურდია, ყრილობამ მოისმინა ამხ. დ. შენგელაიას, კ. გამსახურდიას, ი. ხომტარიას და გ. ბუხნიკაშვილის პირადი განცხადებები და მომხსენებლების — ამხ. ა. მაშაშვილის, შ. დადიანისა და ს. ჩიქოვანის საბოლოო სიტყვები. მწერალთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენების გამო რეზოლუციის პროექტის გამოსამუშავებლად ყრილობამ გამოჰყო კომისია ამხ. ა. მაშაშვილის, შ. დადიანის, ს. ჩიქოვანის, ს. ეულის, ლ. ქიაჩელის, ბ. ჟღენტის, ი. აბაშიძის, დ. გულიას, დ. კვირკველიას, ნ. მალაზონიას და ბ. ჩოჩიევის შემადგენლობით.

დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა [illegible] ამხ. ი. მოსაშვილის საანგარიშო მოხსენება [illegible] ლიტფონდის მუშაობის შესახებ და [illegible] სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

ამხ. რ. გვეტაძემ ყრილობას გააცნო გამომცემლობა „ფედერაციის“ მუშაობა. მან აღნიშნა, რომ გამომცემლობა ნაყოფიერად მუშაობდა. გასული წელი გამომცემლობამ 850.000 მანეთის მოგებით დაასრულა და ამავე დროს წიგნის თვითღირებულება შეამცირა 2,5 პროცენტით.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. გ. გიასელი და გ. ხერუაშვილი.

ყრილობამ ლიტფონდის გამგეობისა და გამომცემლობა „ფედერაციის“ მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, ხოლო სარევიზიო კომისიის მუშაობა მოიწონა. პრაქტიკული წინადადებების შესამუშავებლად გამოჰყო კომისია ამხ. ი. მოსაშვილის, ვ. ხატიაშვილის, რ. გვეტაძის, გ. სულიაშვილის და ს. შანშიაშვილის შემადგენლობით.

ამით დასრულდა დილის სხდომა.

შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნაწარმოები

(ი. სტალინის „ლენინიზმის საკითხების“ მეთერთმეტე გამოცემა)

ამხანაგ სტალინის წიგნმა — „ლენინიზმის საკითხები“ — სსრ კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელთა უდიდესი სიმპატიები მოიპოვა. ეს წიგნი ბოლშევიკური სახელმძღვანელოა თვითეული ადამიანისათვის, რომელიც მიისწრაფვის ისეთი საზოგადოების შექმნისაკენ, სადაც არ იქნება ჩაგვრა, არ იქნება ექსპლოატაცია თვითეული ადამიანისათვის, რომელიც მიისწრაფვის ხალხთა ბედნიერი მშვიდობიანი თანამეგობრობისაკენ შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ამხანაგ სტალინის წიგნი ყოველი მარქსისტ-ლენინელის, ყოველი ბოლშევიკის საბრძოლო იდეური იარაღია. მისი იდეებით ცოცხლობს და ხელმძღვანელობს თავის მუშაობაში ჩვენი პარტია. მის შინაარსს სწავლობენ ჩვენი ქვეყნის მილიონობით მოწინავე ადამიანები კომუნიზმისათვის კიდევ უფრო წარმატებით საბრძოლველად. მის მგზნებარე ფურცლებს ბოლშევიკები მიმართავენ როგორც ყველაზე საიმედო მასწავლებელსა და მეგობარს. მათში პოულობენ პასუხს კომუნისტური მშენებლობის ყველაზე რთულ, სასიცოცხლო-მნიშვნელოვან საკითხებზე, სწავლობენ ჩვენი გმირი ხალხის გამარჯვებათა შედეგებისა და მომავალი გზების ლენინურად, სტალინურად ღრმად გაგებას. არ შეიძლება ისე კითხულობდე ამ კლასიკურ ნაწარმოებებს — შემოქმედებითი მარქსიზმის უბრწყინვალეს ნიმუშებს, — რომ ამაღლებულ სიხარულს არ განიცდიდე ჩვენი პარტიისათვის, ჩვენი ხალხისათვის, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი და მეცნიერული განვითარების უდიდესი ისტორიული და თანამედროვე გამოცდილებით შემოწმებული თეორია.

ღრმა მადლობის გრძნობით შეხვდებიან საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი კლასიკური მეცნიერული მარქსისტული შრომის — „ლენინიზმის საკითხების“ ახალ გამოცემას.

ამ წიგნში გენიალური განხორციელება ჰპოვა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების უპირველესმა ამოცანამ — სრულვყოთ, განვავითაროთ, წინ წავსწიოთ მარქსისტული მეცნიერული აზროვნების მონაპოვარნი, გავამდიდროთ იგი ახალი დებულებებითა და დასკვნებით, რათა სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე გადავწყვიტოთ რევოლუციური მოძრაობის, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული საკითხები.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის აღნიშნული თავისებურებანი ყოველთვის დამახასიათებელი იყო ჩვენი პარტიისა. ამ თავისებურების მეოხებით მარქსმა შესძლო შეეჯამებინა მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარება „კაპიტალში“, ენგელსმა შესძლო გამოემჟღავნებინა მსოფლიო მეცნიერული განვითარების ტენდენციები „ბუნების დიალექტიკაში“, „ანტი-დიურინგში“ და სხვა ნაწარმოებებში „...ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ — სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 435).

ეპოქა, რომელსაც ეკუთვნის „ლენინიზმის საკითხებში“ შესული ნაშრომები, მკვეთრად განსხვავდება მარქსისა და ენგელსის ცხოვრების პერიოდისაგან. საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების — სსრ კავშირის წარმოშობამ, ხოლო ამასთან დაკავშირებით მშრომელთა რევოლუციური შემოქმედების გაშლამ — კომუნიზმის მშენებლობამ, წარმოშვეს მსოფლიო განვითარების ახალი ტენდენციები და შესაძლებლობანი. ეს ტენდენციები და შესაძლებლობანი არ შეიძლებოდა აღმოჩენილი და შეცნობილი ყოფილიყო მარქსიზმ-ლენინიზმის ნამდვილად ღრმა შემოქმედებითი გამოყენებისა და განვითარების გარეშე.

მარქსიზმ-ლენინიზმის წინაშე წამოჭრილი ეს ამოცანები შესრულებულია ამხანაგ სტალინის კლასიკურ მეცნიერულ შრომაში — „ლენინიზმის საკითხები“. ეს წიგნი პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის უდიდესი დოკუმენტია. ამ წიგნში განვითარებული იდეები წარმოადგენენ მარქსიზმის შემდგომ განვითარებას. ეს არის „დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმი“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 435).

* * *

ამხანაგ სტალინის წიგნი — „ლენინიზმის საკითხები“ ყოველმხრივ აზოგადებს ჩვენი დროის საზოგადოებრივი და მეცნიერული განვითარების ახალ გამოცდილებას, წარმოადგენს მარქსისტული აზროვნების ისეთი კლასიკური ნაშრომების პირდაპირ განგრძობას, როგორიცაა მარქსის „კაპიტალი“, ენგელსის „ანტი-დიურინგი“, ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „სახელმწიფო და რევოლ[illegible] მარქსიზმ[illegible] პარტიის [illegible] განვითარ[illegible] მსოფლმხ[illegible] სტალინმა თავის ნაშრომში დაგვანახვა მარქსიზმის განვითარება, მისი გამდიდრება ლენინის შრომებში, დაგვანახვა ლენინის მოძღვრება როგორც მარქსიზმის განგრძობა, შემდგომი დასაბუთება და გენიალურად დაასკვნა, რომ „ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით“. („ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოცემა, გვ. 2).

მარქსიზმ-ლენინიზმი როგორც ჩვენი პარტიის მეცნიერულ-თანმიმდევრული მსოფლმხედველობა, ყოველმხრივ განვითარებულია ამხანაგ სტალინის მიერ. თავის შრომებში, რომლებიც გამოქვეყნებულია „ლენინიზმის საკითხებში“ ამხანაგმა სტალინმა ახალი იდეებით, დებულებებითა და დასკვნებით გაამდიდრა ჩვენი პარტიის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, უაღრესად წინ წასწია მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მეცნიერება, განავითარა მარქს-ენგელს-ლენინის მეცნიერული კომუნიზმი.

ამხანაგ სტალინის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის თეორიული ნაშრომები „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, „ლენინიზმის საკითხებისათვის“, „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, „საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მუშაობის შესახებ“ და სხვა შრომებში გენიალურად განვითარებულია ბოლშევიკური პარტიის მსოფლმხედველობა. ძირითადი მეცნიერული იდეა, რაც შინაგანად აერთებს ამხანაგ სტალინის ნაშრომებს, მდგომარეობს განვითარების იმ კანონების აღმოჩენაში, რომლებიც გვიჩვენებენ კაცობრიობის პროგრესიულ წინსვლითს მოძრაობას საზოგადოებრივი ცხოვრების დაბალი ფორმებიდან უმაღლესი ფორმებისაკენ და მოწმობს ისტორიულ გარდუვალობას კომუნიზმის იმ წყობილებაზე გამარჯვებაში, რომელიც ემყარება ექსპლოატაციასა და კერძო საკუთრებას.

ამხანაგმა სტალინმა მკაფიოდ და ბრძნულად დაგვანახვა, რომ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა შეცნობის **დიალექტიკური** მეთოდით, მათი **მატერიალისტური** გაგებითა და განმარტებით კრისტალურად ნათლად ისახება ისტორიული პროცესის ძირითადი ხაზი, ძირითადი მიმართულება, პერსპექტივა, [illegible] განვითარებისა.

[illegible] „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ ამხანაგმა სტალინმა, ავითარებს რა იგი მარქსის, ენგელსისა და ლენინის ფილოსოფიურ მოძღვრებას, დაამტკიცა, რომ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი იძლევა შესაძლებლობას თანმიმდევრულად მეცნიერულად შევისწავლოთ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მსვლელობა და ჩვენი პარტიისა და საბჭოთა საზოგადოების სამსახურში დავაყენოთ მიღებული მეცნიერული დასკვნები. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მხოლოდ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი განიხილავს ბუნებასა და საზოგადოებას — როგორც დაკავშირებულ ერთიან მთლიანობას — მარადი მოძრაობის, ცვლილების, „განუწყვეტელი განახლებისა და განვითარების მდგომარეობაში, სადაც მუდამ რაღაც წარმოიშვება და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება“.

საზოგადოებრივ მოვლენათა დიალექტიკური შეცნობიდან გამომდინარეობს, რომ მომავალი ეკუთვნის ახალს, და არა ძველს, უმაღლესს, და არა დაბალს, წარმოშობადს, და არა დრომოჭმულს აქედან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა ჩვენი პარტიის მთელი პოლიტიკისათვის: პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, ამბობს ამხანაგი სტალინი, წინ უნდა იხედებოდე, და არა უკან, რევოლუციონერი უნდა იყო, და არა რეფორმისტი, კი არ უნდა ჩქმალავდე კაპიტალისტური წესების წინააღმდეგობებს, არამედ ააშკარავებდე მათ, კი არ უნდა აქრობდე კლასობრივ ბრძოლას, არამედ ბოლომდე მიგყავდეს იგი.

ამხანაგ სტალინის მიერ განვითარებული მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი აიარაღებს ჩვენს პარტიას თეორიული იარაღით, რომელმაც დამარცხება არ იცის, რომელიც იძლევა შესაძლებლობას რთულ თანამედროვე ვითარებაში ამაყად მიგვყავდეს საბჭოთა გემი სრული კომუნიზმისაკენ.

ამხანაგმა სტალინმა თავისი შრომებით ახალი ფურცელი გადაშალა მარქსისტულ-ფილოსოფიური მატერიალიზმის განვითარებაში. ეყრდნობა რა თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების მონაცემებს და ავითარებს რა მარქს-ენგელს-ლენინის ფილოსოფიურ მატერიალიზმს, ამხანაგმა სტალინმა დაგვანახვა, რომ სავსებით მეცნიერულია მხოლოდ მატერიალისტური შეხედულება სამყაროზე, გამოაშკარავა მთელი ცრუმეცნიერულობა, მავნებლობა და ფუქსავატობა სამყაროს იდეალისტური გაგებისა, რომლის თანახმადაც ბუნება და საზოგადოება დამოკიდებული არიან ადამიანის ცნობიერებისაგან, გონებისაგან, „მსოფლიო სულისაგან“.

ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ წინააღმდეგ ბურჟუაზიული იდეალისტური ფილოსოფიის ყოველნაირი მონაჭორისა მეცნიერება საზოგადოების შესახებ სავსებით შესაძლებელია და ასეთი მეცნიერების დასკვნები წარმატებით შეიძლება პრაქტიკულად გამოყენებულ იქნას კომუნისტური პარტიის მიერ. აქედან გამომდინარეობს ბოლშევიკების ის უღრმესი ერთიანობა სიტყვასა და საქმეს შორის, თეორიასა და პრაქტიკას შორის, რომელიც, როგორც ეს დაგვანახვა ამხანაგმა სტალინმა „ლენინიზმის საკითხებში“, არასოდეს არ იყო [illegible] II ინტერნაციონალის პარტიებისათვის.

მთელ თავის მოღვაწეობაში ჩვენი პარტია გამოდის არა ცხოვრებას მოწყვეტილი გეგმებიდან და სხვადასხვა „პრინციპებიდან ადამიანის გონებისა“, არამედ „საზოგადოების მატერიალური ცხოვრების კონკრე-



И. СТАЛИН

ВОПРОСЫ
ЛЕНИНИЗМА

ИЗДАНИЕ
ОДИННАДЦАТОЕ

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1939

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

წინასაარჩევნო მზადება თბილისის რაიონებში

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი ენერგიულად ემზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. თბილისის ტერიტორია დაყოფილია რაიონული საბჭოების და საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქებად და უბნებად. ქალაქ თბილისში ერთდროულად მოხდება როგორც რაიონული საბჭოების, ისე საქალაქო საბჭოს დეპუტატთა არჩევნები. ამიტომ თბილისის რაიონებში საარჩევნო კომისიები თვითეულ ამომრჩეველს ერთდროულად მისცემენ ორ საარჩევნო ბიულეტენს.

ყველა რაისაბჭომ უკვე დააწესა ქალაქის საბჭოს და რაისაბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების საზღვრები. არჩევნების დებულების მიხედვით სულ თბილისში შეიქმნება 257 საარჩევნო უბანი, საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის 512 საარჩევნო ოლქი და რაიონული საბჭოების არჩევნებისათვის 1024 საარჩევნო ოლქი.

მომავალი საუბნო კომისიებისათვის შენობები ძირითადად შერჩეულია. ამჟამად რაისაბჭოების აქტივისტები და დეპუტატები ამოწმებენ მათ და არკვევენ, თუ რა ინვენტარი და მოწყობილობაა ამ შენობებში.

ყველა რაიონში დაიწყო ამომრჩეველთა სიების შედგენა. მილიციის მუშაკები ამოწმებენ საბინაო დავთრებს და არკვევენ ყველა მობინადრე ჩაწერილია თუ არა დავთრებში, რათა არცერთი ამომრჩეველი არ გამორჩეს სიებში.

თბილისის რაიონებში ჩამოყალიბებულ იქნა დებულების შემსწავლელი წრეები, რომლებშიც ამომრჩევლები სწავლობენ არჩევნების დებულებას. კიროვის რაიონში ამ ხაზით მუშაობს 1.000 აგიტატორი, ორჯონიკიძის სახელობის რაიონში — 1.200, 26 კომისრის სახელობის რაიონში — 1.500, ლენინის რაიონში — 900 და სხვ. დღითიდღე იზრდება წრეებისა და მათი მსმენელების რიცხვი.

10 ათასამდე აქტივისტი, რაიონული საბჭოებისა და ქალაქის საბჭოს დეპუტატები აქტიურად მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის. ამ მუშაობაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ დიასახლისები. მაგალითად, დიასახლისი რაისა გასპაროვა (კიროვის რაიონი) ხელმძღვანელობს ამომრჩეველთა აღმრიცხველ ბრიგადას. დიასახლისი ვართანუშ ასლანოვა აქტიურად მუშაობს ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე.

დიდი ენტუზიაზმით და მაღალი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს ქალაქის საბჭოს და რაიონული საბჭოების დეპუტატების ანგარიშგება. 100-ზე მეტმა დეპუტატმა უკვე ჩააბარა ანგარიში ამომრჩევლებს.

კალინინის სახელობის ქარხანაში დეპუტატების — სკალსკის, გალუსტიანის, ოგანეზოვისა და ტყეშელაშვილის მუშაობა ამომრჩევლებმა დამაკმაყოფილებლად სცნეს. ასევე კარგად შეაფასა თავის დეპუტატთა მუშაობა ტრამვაის მუშათა კოლექტივმა.

ცალკეული დეპუტატების მუშაობა ამომრჩევლებმა არადამაკმაყოფილებლად სცნეს. მაგალითად, კინოსტუდიის 450-ზე მეტმა ამომრჩეველმა მოისმინა თბილისის საბჭოს ორი დეპუტატის ამხ. ე. ჭილაურისა და რ. მეხონოშინას და რაისაბჭოს ორი დეპუტატის ამხ. ი. ბარსეგოვისა და ი. ჯაფარიძის ანგარიშები. ამხ. ჭილაურისა და ჯაფარიძის მუშაობა ამომრჩევლებმა არადამაკმაყოფილებლად სცნეს.

პოლიგრაფ-კომბინატის ამომრჩევლებმაც მოისმინეს 6 დეპუტატის ანგარიში, რომელთაგან დეპუტატების ხუციშვილის, მჭედლიშვილისა და აზაროვიჩის მუშაობა ამომრჩევლებმა დამაკმაყოფილებლად სცნეს, ხოლო დეპუტატების ამხ. კურმანოვის, არუთინოვისა და ბაღდასაროვის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად.

ივ. მარაქველიძე.

არჩევნებს მომზადებული შევხვდებით

დუშეთის რაიონში ფართოდ გაიშალა მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ეს საკითხი ჯერ განხილულ იქნა რაიონის აქტივის თათბირზე, ხოლო შემდეგ დამუშავდა რაიაღმასკომის და სასოფლო საბჭოების პლენუმებზე და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე.

ამჟამად რაიონში ჩამოყალიბებულია არჩევნების დებულების შემსწავლელი 486 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 13.634 ამომრჩეველი. დებულებას დამოუკიდებლად სწავლობს 1.700 ამომრჩეველი. ათდღიან კურსებზე გადამზადებულ იქნა 29 კოლმეურნე აგიტატორი. ამჟამად ყველა აგიტატორი გაერთიანებულია აგიტკოლექტივებში, რომელთა რაოდენობაც რაიონში 15-ს უდრის. პარტიულ კაბინეტსა და სასოფლო საბჭოების ცენტრებში აგიტატორებისა და იმ ამომრჩევლებისათვის, რომლებიც დებულებას დამოუკიდებლად სწავლობენ, სისტემატურად ტარდება კონსულტაციები და მოხსენებები დებულების ცალკეულ საკითხებზე.

აღსანიშნავია ის, რომ სახელგამმა ჩვენს რაიონში არჩევნების დებულება მხოლოდ 500 ცალი გამოგზავნა, რაც სრულებით არ არის საკმარისი.

ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი არჩევნებისათვის მზადებაში, რომელთა გამოსასწორებლად ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ. ჩვენი რაიონი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდება.

ზ. ვერძეული

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი.

დეფექტები უნდა გამოსწორდეს

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების სამზადისთან დაკავშირებით თბილისის სტალინის რაიონში გაძლიერდა ბოლშევიკური აგიტაცია. შერჩეული და დამტკიცებულია უკვე 700 აგიტატორი. მსხვილ საწარმოებში მოეწყო 13 აგიტპუნქტი. 12-დღიან კურსებზე გადამზადებულ იქნა 142 აგიტატორი. არჩევნებისათვის მზადებაში მოწინავენი არიან ტრამვაის და ტროლეიბუსების, საქ. აბრეშუმის ტრესტების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ტრამვაის და ტროლეიბუსების ტრესტთან კედლის გაზეთებსა და ნაბეჭდ მრავალტირაჟიან გაზ. „ბიუგელში“ სისტემატურად შუქდება არჩევნების საკითხები. აქ საუკეთესოდ მუშაობენ აგიტატორები თიკანაძე, კირშიანი, ცინცაძე, წივილაშვილი, კუნჭულია და სხვ.

არჩევნებისათვის მზადება სუსტად არის გაშლილი სააფთიაქო სამმართველოსა, სტომატოლოგიურ ინსტიტუტსა და მაუდის ფაბრიკაში. აქ პარტორგანიზაციების მდივნები ცინცაძე, ლაბაძე, ცაგურიშვილი უდარდელობას იჩენენ. ზოგიერთი აგიტატორი დღესაც არ იცნობს თავის უბანს.

საჭიროა ამ დეფექტების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

ა. თუთბერიძე

ახალწვეულები სიხარულით მიდიან წითელ არმიაში

ორჯონიკიძისა და თბილისის რაიონების ახალწვეულთა შეხვედრა

გუშინ კიროვის სახელობის პარკში, სადაც ორჯონიკიძის რაიონის გამწვევი პუნქტია მოთავსებული, თავი მოიყარეს ამ რაიონის ახალწვეულებმა. აქვე იყვნენ გამწვევი კომისიის თავმჯდომარე მაიორი ამხ. გეგია, პოლიტხელი ელიაშვილი და ანანაშვილი, გამწვევი კომისიის წევრები და სხვ. ისინი სტუმრებს მოელოდნენ თბილისის რაიონიდან.

უცებ ყველას ყურადღება სიმღერამ მიიქცია. სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ილია ძელურს დროშა მოაქვს, ახალწვეულები სულაძე და ელიზბაროვი დოლსა და გარმონს უკრავენ. ესენი წინ მოუძღვებიან წყნეთის სოფლსაბჭოს ასამდე ახალწვეულს. სტუმრები გულმხურვალედ მიესალმნენ დამხვდურთ.

გაიმართა სახელდახელო მიტინგი.

მიტინგი გახსნა მაიორმა ამხ. გეგიამ. იგი მოუწოდებს ყველა ახალწვეულს დაუღალავად ისწავლონ და იმუშაონ წითელ არმიაში, იბრძოლონ გმირობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის, იყვნენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრების ღირსეული დამცველები. ამხ. გეგიას ბოლო სიტყვებს მქუხარე ტაში ფარავს, გაისმის შეძახილები ამხანაგების **სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვისა და ბერიას** პატივსაცემად.

შემდეგ სიტყვას ამბობს გამწვევი პუნქტის პოლიტხელი ელიაშვილი. იგი განუმარტავს ახალწვეულებს წითელ არმიაში მორიგი გაწვევის მნიშვნელობას.

სოფ. ბაგების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ახალწვეულთა სახელით სიტყვას ამბობს აკაკი ახელაშვილი.

— ბედნიერი ვარ, — განაცხადა მან—რომ წითელ არმიაში მივდივარ. არ ვიცი რა უნდა იყოს ჩემთვის იმაზე მეტი ბედნიერება, როცა პირველად მომცემენ საბრძოლო შაშხანას და საპატიო მოვალეობის შესრულებას შევუდგები. მტერი საზღვარს ვერ გადმოვა, ჩვენ მას რკინის კედლად დაუხვდებით.

შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა ორჯონიკიძის რაიონის ახალწვეული, სტუდენტი ვახტანგ გაბაიძე.

იგი ლაპარაკობს იმ მოვალეობის პირნათლად შესრულების აუცილებლობაზე, რაც თვითეულ ახალწვეულს აკისრია. ჩვენ,—სთქვა მან საბჭოთა სამშობლოს ღირსეული შვილები ვართ შრომის ფრონტზე, ასეთივე ღირსეულნი უნდა ვიყოთ ბრძოლის ველზეც.

მიტინგის დამთავრების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სომხური სახელმწიფო დრამის თეატრის მსახიობებმა.

რ. ფალავანდიშვილი

სტახანოველი მაღაროელები წითელ არმიაში

(ჭიათურა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მარგანეცის მაღაროებიდან წელს მშობლიური წითელი არმია მიიღებს მცოდნე და ჯანსაღ, სოციალისტური შრომის ფრონტზე გამოწრთობილ ახალგაზრდობას.

აი, მაგალითად, ივანე სივაკი. იგი უკრაინაში დაიბადა 1919 წელს. უძლეველი სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხე, აყვავებული უკრაინაც და მზიური კავკასიაც მას თანაბრად უყვარს. სივაკი ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტახანოველია. იგი ყოველდღიურად იბრძვის იმისათვის, რომ მაღალხარისხოვანი მარგანეცი მისცეს ჩვენს მრეწველობას. გაწვევის დღეებში მან გეგმის შესრულების მაჩვენებელი 360 პროცენტამდე აიყვანა. ამ დღეებში ის სახელოვანი წითელი არმიის რიგებში ჩადგება. გუშინდელი მაღაროელი ტანკის მართვას დაეუფლება.

თავისი ენერგიით, საქმის სიყვარულით და თავდადებით ორჯონიკიძის სახელობის მაღაროელთა შორის ცნობილია 20 წლის ჭაბუკი ვანო სარალიძე. მარგანეცის ამოღების გეგმას იგი ყოველდღიურად 200-210 პროცენტით ასრულებს. მან შესძლო საუკეთესოდ ჩაებარებინა ნორმები თავდაცვის ოთხივე სახის ნიშანზე. ამხ. სარალიძე უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა წითელ არმიაში გაწვევის დღეს.

ლენინის სახელობის მაღაროს სტახანოველმა ახალწვეულებმა: ვ. კილაძემ, პ. ტკაჩენკომ, ვ. შელიძემ და ვ. ბურჯანაძემ მარგანეცის ამოღების გეგმა აგვისტოში 150-200 პროცენტით შეასრულეს. მათ გამოსთქვეს ნამდვილ სამხედრო სამსახურში ვადამდე ჩარიცხვის სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე დაეუფლონ სამხედრო ტექნიკას და საკუთარი მკერდით დაიცვან სოციალისტური სამშობლოს დიადი საბჭოთა ხალხის ინტერესები.

ლ. ლოლაძე

დიდი ხნის ნატვრა ამისრულდა

მასწავლებელი მოვიდა. მხრებზე ხელი დამარტყა და ღიმილით მითხრა: — ყოჩაღ, კარგი განზრახვა გქონია ბიჭიკო, კარგი! შემდეგ მოწაფეებს მიუბრუნდა: აი ყმაწვილებო, იოსებს ყველა თქვენგანზე უკეთესი პროფესია აურჩევია, სამხედრო ინჟინერი უნდა გახდეს.

ლოყებაწითლებული და თავჩაღუნული ვისმენდი ამ სიტყვებს 10 წლის წინათ, როცა მასწავლებლის მიერ დარიგებული ანკეტის კითხვაზე — რა გსურთ მომავალში გამოხვიდეთო, ვუპასუხე, — სამხედრო ინჟინერი-მეთქი.

გამწვევმა კომისიამ ჩემი დიდი ხნის სურვილი დააკმაყოფილა; სამხედრო საინჟინრო სასწავლებელში გამგზავნეს. არ ვიცი რით გამოვხატო ის სიხარული, რომელსაც ახლა განვიცდი.

საბჭოთა ხელისუფლებამ მშობლიური მზრუნველობით გამზარდა და დამავაჟკაცა. მანვე მომცა სწავლის უფლება და შესაძლებლობა. ახლა მხოლოდ ის დამრჩენია, რომ სამშობლოს სამაგიერო პატივი ვცე, ჩემი სიცოცხლე მას მოვახმარო.

იოსებ აჯიაშვილი

ახალწვეული

თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის გასაწვევი პუნქტი. სურათზე: სამხედრო კომისარი, გასაწვევი კომისიის თავმჯდომარე ამხ. გეგია ესაუბრება ახალწვეულებს. ფოტო გინზბურგისა.

სტახანოური შრომით დავეხმაროთ სახელოვან წითელ არმიას

დაუვიწყარ და ამაღელვებელ დღეებს განიცდის საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხი. საუკუნეებს გადასწვდება ამ დღეების დიდება. ჩვენი მამაცი და მშობლიური წითელი არმია ღირსეულად და სასახელოდ ასრულებს თავის ვალს. უძლეველი საბჭოთა მთავრობის ბრძანებით იგი საზღვარზე გადავიდა და იცავს ჩვენი მოძმე — თვისტომი ხალხების—დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის სიცოცხლესა და ქონებას.

ყოველდღიურად ახალ - ახალი ცნობები მოდის ჩვენი მამაცი წითელი არმიის ვაჟკაცური საქმეების შესახებ. არ შეიძლება დიდ მღელვარებას არ განიცდიდე, როდესაც ეცნობი ამ სასახელო და სასიხარულო ამბებს. ყოველი საბჭოთა პატრიოტის გული სიხარულით ივსება, როდესაც კითხულობთ ცნობებს ჩვენი წითელი არმიის მამაც მეომრებთან მოძმე უკრაინელი და ბელორუსი გლეხების შეხვედრაზე, მათს აღტაცებაზე, მათს ერთგულებაზე საბჭოთა მთავრობისადმი, ბოლშევიკთა პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი.**

მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყანა უსმენდა საბჭოთა მთავრობის სახელოვანი მეთაურის **ვ. მ. მოლოტოვის** სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ჩვენი ამოცანა ამჟამად, თვითეული მუშისა და გლეხის ამოცანა, თვითეული მოსამსახურისა და ინტელიგენტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პატიოსნად და თავგანწირულად იშრომოს თავის პოსტზე და ამით დახმარება გაუწიოს წითელ არმიას“.

ამხანაგ მოლოტოვის ამ შესანიშნავმა მოწოდებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში. საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელი სასახელო, საგმირო საქმეებით უპასუხებს წითელი მებრძოლების სახელოვან წინსვლას, მათ მიერ გადადგმულ ყოველ განმათავისუფლებელ ნაბიჯს. თავგანწირული და პატიოსანი შრომით ეხმარება ჩვენი სამშობლოს მამაცი ხალხი გმირულ წითელ არმიას ისტორიული ამოცანების გადაჭრაში.

თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის მთელ კოლექტივს მუდამ ახსოვს და არასოდეს არ დაავიწყდება ჩვენი სამშობლოს მძლავრი წითელი არმიის სახელგანთქმული სარდლის, სსრ კავშირის პირველი მარშლის **კ. ე. ვოროშილოვის** შესანიშნავი სიტყვები იმაზე, რომ ტრანსპორტი წითელი არმიის ღვიძლი ძმაა. მართლაც, ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა, მძლავრი სარკინიგზო ტრანსპორტი ნიშნავს კარგად მოემსახურო წითელ არმიას, ხელი შეუწყო მას საბრძოლო ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

ჩვენს ქარხანაში, ისე როგორც ჩვენი თვალწარმტაცი სამშობლოს ქარხნებსა, საკოლმეურნეო მინდვრებსა და მაღაროებში, უკანასკნელმა ამბებმა შრომითი ენტუზიაზმის ახალი მოზღვავება გამოიწვია.

საქვაბე საამქროში ბაბაევის ბრიგადამ, რომელშიც სახელმოხვეჭილი სტახანოველები გ. მარტიროსოვი, ი. ბეჟუაშვილი, არ. მარტიროსოვი და ნ. ბერუაშვილი მუშაობენ, 20 სექტემბერს მუშაობის საუკეთესო ნიმუშები მოგვცა. ამ დღეს ბრიგადამ დაამზადა „ე“ სერიის № 4411 ორთქლმავლის საცეცხლური და ამავე დროს იგი მოარგო ორთქლმავალს, რითაც ბრიგადამ 102 საათის სამუშაო 35 საათში გააკეთა და დღიური დავალება 292 პროცენტით შეასრულა.

ამავე დღეს დ. კურენოვის ბრიგადამ № 3323 ორთქლმავლის ქვაბის საცეცხლურს გაუკეთა უკანა კედელი, იმავე ბრიგადამ 20 სექტემბერს № 5420 ორთქლმავლის ქვაბს წინა ცხრილზე გამოაკლო მოქლონები, ხოლო № 91003 ორთქლმავლის ქვაბს ჰერზე მოარგო უკანა კედელი. ამ დღეს ბრიგადამ დავალება 215 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით ისახელეს თავი მექვაბეებმა ვ. პილუბჩიკმა, გ. ქლახტიშვილმა და ალ. პორტნოვმა.

საწარმოო მაჩვენებლები საგრძნობლად აამაღლა მღუნავთა ბრიგადამ, რომელსაც ცნობილი სტახანოველი ორდენოსანი მ. გეწაძე ხელმძღვანელობს. მისი ბრიგადა გეგმის შესრულების 300-400-პროცენტიანი მაჩვენებლით უპასუხებს ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის წარმატებებს.

სტახანოველი მექვაბე ან. იაგოროვი მოითხოვს, რათა უზრუნველჰყონ სრული დატვირთვით მუშაობისათვის და პირობას იძლევა დავალება 400-450 პროცენტით შეასრულოს. ასეთსავე ვალდებულებას იღებენ ივ. ქებაძე, ბეჟუაშვილი, მუხიგულაშვილი, სოხაძე და სხვ.

წარმატებით მუშაობენ ამწყობ საამქროში ამხ. სოლონინის, ვაბინაშვილის, ვეიკუმის, გერმანის და სხვ. ბრიგადები. მათ 19 და 20 სექტემბერს დავალება 300-350 პროცენტით შეასრულეს. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მაღალხარისხოვნად შეკეთებული და ჯანსაღი ორთქლმავლები მისცენ სოციალისტურ ტრანსპორტს.

შრომითი ენტუზიაზმი იზრდება სამჭედლო საამქროშიც. მჭედელთა ბრიგადამ ვ. ესებუას ხელმძღვანელობით 20 სექტემბერს დავალება 215 პროცენტით შეასრულა. ხოლო მჭედლებმა კ. ილურიძემ, ვლ. გამხუაშვილმა, ან. გელაზაროვმა და სხვ. გამომუშავების 200-250 პროცენტი მოგვცეს. ასეთი მაგალითები ერთი და ორი როდია. უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, მუშები ორგანიზებულობისა და თავდადების განსაკუთრებულ ნიმუშებს იძლევიან.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ძლევამოსილი მოძრაობა ერთი მუშის მიერ ორი და რამდენიმე დაზგის მომსახურებისათვის. ეს მოძრაობა შეიცავს შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდეს შესაძლებლობებს, მინიმალური მუშახელით პროდუქციის მაქსიმუმის გამომუშავების შესაძლებლობებს.

მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნებში ჩაისახა აგრეთვე მოძრაობა პროფესიათა შეთავსებისათვის. აქვე მუშა-ქალებმა ფართოდ მოჰკიდეს ხელი იმ პროფესიების დაუფლებას, რომლებშიაც აქამდე მხოლოდ მამაკაცები მუშაობდნენ. „ზაპოროჟსტალის“ კომბინატში 250 ქალი სწავლობს ელექტრომემანქანეთა, ზეინკალთა და ამწემემანქანეთა კურსებზე. ეს ფაქტები მაგალითი უნდა გახდეს ჩვენთვისაც. ასეთი მოძრაობის ფართოდ გაშლის შესაძლებლობა უსათუოდ ჩვენშიც არსებობს. ჩვენ ახლავე უნდა გამოვეხმაუროთ ამ შესანიშნავ თაოსნობას.

„ჩვენი წითელი არმია ღირსეულად ასრულებს თავის ვალს. იგი ახალ გამარჯვებებს მიუმატებს იმ სახელოვან გამარჯვებებს, რომლებიც აღბეჭდილია საბჭოთა ქვეყნის გმირულ ისტორიაში. დაე, ღირსეულად შეასრულოს თავისი ვალი თვითეულმა მოქალაქემ თავის პოსტზე — დაზგასთან ქარხანაში, გუთანთან საკოლმეურნეო მინდვრებში, დაწესებულებაში, დახლთან, კათედრაზე, ლაბორატორიაში. თვითეული სამუშაო პოსტი ჩვენს ქვეყანაში საბრძოლო პოსტია“. („პრავდა“).

ბელადის სახელობის ქარხნის მუშაკთა კოლექტივი კიდევ უფრო გააძლიერებს ბრძოლას საწარმოო აღმავლობისათვის, სტახანოვური მუშაობის შესანიშნავი ნიმუშებით და თავდაცვითი მუშაობის გაძლიერებით უპასუხებს ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის წარმატებებს.

დ. ჯიჯინაძე

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი.

ტული პირობების“ გულდასმით შესწავლიდან (სტალინი).

ამხანაგ სტალინის მიერ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დარგში განვითარებული იდეები განუყრელად აკავშირებენ ბოლშევიკების პოლიტიკას წარსული კულტურის, მეცნიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა პროგრესიულ მონაპოვართან. ეს იდეები მთელი საფეხურით ამაღლებენ ჩვენი ხალხის რევოლუციურ თვითშეგნებას, მის რწმენას ლენინ-სტალინის პარტიის საქმის საბოლოო გამარჯვებისადმი და მის ენერგიას სსრ კავშირში კომუნიზმის უსწრაფესი აშენებისათვის ბრძოლაში.

○

„ლენინიზმის საკითხების“ მეთერთმეტე გამოცემაში გამოქვეყნებულია ამხანაგ სტალინის ნაწარმოებები, რომლებმაც ახალი ხანა შექმნეს მარქსისტული ეკონომიური მეცნიერების განვითარებაში. ამხანაგ სტალინის შრომები „დიადი გარდატეხის წელი“, „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“, „თავბრუდახვევა წარმატებისაგან“, „სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ“, „ახალი ვითარება—სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები“, „პირველი ხუთწლედის შედეგები“, „სოფლად მუშაობის შესახებ“, „სიტყვა დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე“, საანგარიშო მოხსენებები პარტიის ყრილობებზე და ბევრი მისი სხვა ნაშრომი ბოლშევიკური პარტიის იდეურ ფონდში შევიდნენ, თანამედროვე მარქსისტული ეკონომიური მოძღვრების ძირითად შინაარსს შეადგენენ.

ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიურმა განვითარებამ მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ სერიოზული ცვლილებები განიცადა. კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების ახალ, უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში. სულ უფრო და უფრო მკვეთრად იჩენდა თავს კაპიტალისტური განვითარების უთანაბრობის კანონი. გაჩნდა საზოგადოებრივი წყობილების ახალი სისტემა — სსრ კავშირი საზოგადოების განვითარების თავისი განსაკუთრებული კანონებით, რომლებსაც წინათ ადგილი არ ჰქონია. ამ პირობებში მარქსისტ-ლენინელთა პარტიისათვის, რომელიც ცხოვრებაში ახორციელებს თავის დიად იდეებს, არ კმარა იმეორებდეს იმას, რაც უკვე ნათქვამი იყო მარქსიზმის ფუძემდებლების მიერ. ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე აღნიშნა იმის აუცილებლობა, რომ გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი განვითარების ახალი გამოცდილება, განვაზოგადოთ იგი, შემდგომ წავსწიოთ წინ მარქსისტული მეცნიერების მონაპოვარნი, და მარქსიზმის არსებაზე დაყრდნობით, დავაკონკრეტოთ მარქსისტული თეორიის ზოგადი დებულებანი, დავაზუსტოთ და გავაუმჯობესოთ ისინი, შევავსოთ მარქსისტული თეორია ახალი დებულებებითა და დასკვნებით.

მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ ეს ამოცანები განხორციელებულ იქნა ლენინისა და სტალინის მიერ. ამხანაგ სტალინის წიგნი „ლენინიზმის საკითხები“ ამის შესანიშნავი დადასტურებაა.

ნაშრომებში „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“, „ლენინიზმის საკითხებისათვის“, საანგარიშო მოხსენებებში პარტიის ყრილობებზე ამხანაგმა სტალინმა დააკონკრეტა ლენინური მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ, თვალსაჩინოდ დაგვანახვა, თუ როგორ წარმოშობს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თანამედროვე განვითარების მთელი მსვლელობა ახალ ომებს, სპობს საზოგადოებრივ სიმდიდრეს და ახდენს ბურჟუაზიული კულტურის დეგრადაციას, თუ რა განსაკუთრებული თავისებურობანი ეძლევა თანამედროვე სამრეწველო და აგრარულ კრიზისებს, როგორ სულ უფრო და უფრო სწრაფად მწიფდებიან, იზრდებიან და მტკიცდებიან ძალები, რომლებიც მოწოდებული არიან მოსპონ კაპიტალისტური მონობა. ამხანაგი სტალინი პარტიასა და ხალხში ზრდის კაპიტალისტური გარემოცვისადმი სიფხიზლის გრძნობას, მან მოგვცა ამომწურავი მარქსისტული ანალიზი სოციალისტური ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებისა კაპიტალისტურ სამყაროსთან.

○

ამხანაგ სტალინის წიგნის დიადი ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან აღმოაჩინა, ახსნა ახალი კანონები საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური და იდეური განვითარებისა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში.

ამხანაგმა სტალინმა დაგვანახვა, რომ რამდენადაც პროლეტარული რევოლუცია იწყება მაშინ, როდესაც „არ არის, ან თითქმის არ არის სოციალისტური წყობილების მზა ფორმები“, იმდენად ამოცანა პროლეტარიატის დიქტატურისა, რომელიც წარმოიშვება სოციალისტური რევოლუციის შედეგად, მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა ახალი, სოციალისტური ეკონომიკის შექმნასა და აშენებაში. მუშათა კლასის პოლიტიკური ძალაუფლება „გამოიყენება როგორც ძველი ეკონომიკის გარდაქმნისა და ახალი ეკონომიკის ორგანიზაციის ბერკეტი“ (გვ. 111). მუშათა კლასის დიქტატურა უზრუნველჰყოფს წარმოების ახალი, სოციალისტური წესის გამარჯვებას ძველზე, წარმართავს საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის განვითარებას სრული კომუნიზმისაკენ, მკაფიოდ გვიჩვენებს სახელმწიფოს პირველხარისხოვან, უმნიშვნელოვანეს როლს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში.

სწორედ ამის მეოხებით შესაძლებელი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სახის გრანდიოზული გარდაქმნის გეგმიანი განხორციელება, შესაძლებელი აღმოჩნდა სსრ კავშირის გადაქცევა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ლენინის და სტალინის მიერ შემუშავებულმა მეცნიერულმა თეორიამ სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობისა და, კერძოდ, ქვეყნის გადაქცევისა გამარჯვებული მუშათა კლასის მეთაურობით ტექნიკურად ყველაზე განვითარებულ და მძლავრ ქვეყნად თავისი ყოველმხრივი დადასტურება ჰპოვა სსრ კავშირის წარმატებებში. მუშათა საერთაშორისო მოძრაობას ახლა აქვს ზუსტი მეცნიერული, სსრ კავშირის 170 მილიონიანი ხალხის ცხოვრებითა და საქმიანობით შემოწმებული თეორია მუშათა კლასის პოლიტიკური ძალაუფლების ეკონომიური განმტკიცებისა, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური გადაიარაღებისა — თეორია, რომელიც მიგვითითებს სოციალიზმისა და კომუნიზმის ეკონომიკის მშენებლობის გზებზე, ფორმებსა და საშუალებებზე.

როგორც ცნობილია, ყველაზე რთული, მარქსისტულ ლიტერატურაში ყველაზე ნაკლებად დამუშავებული საკითხი იყო სწორედ საკითხი წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა განვითარების სოციალისტურ გზაზე გადაყვანის კონკრეტული გზების, ფორმების, ისტორიული ვადების შესახებ. თავის შრომებში ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა მწყობრი მოძღვრება მუშათა კლასის დიქტატურისა და ბოლშევიკების პარტიის როლის შესახებ ამ რევოლუციურ პროცესში, ექსპლოატატორული კლასების, მათ შორის კულაკობის, მოსპობის გზების შესახებ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მისი საფუძვლების შესახებ.

კრისტალური მეცნიერული სიცხადე, არაჩვეულებრივი სიღრმე და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგადების წარმტაცი სიმამაცე და საბჭოთა საზოგადოების შემდგომი განვითარების პროგნოზი წიგნში „ლენინიზმის საკითხები“ იწვევს მასებში ენერგიის ახალ აღმავლობას, გამარჯვების ნებისყოფას, ჩვენი საქმის ღრმა ისტორიული სიმართლის შეგნებას.

ამხანაგ სტალინის შრომა — „ლენინიზმის საკითხები“ — მთლიანად აშუქებს მოძღვრებას კომუნიზმის შესახებ, მისი განხორციელების პირობების, მისი განვითარების საფეხურების, მისი მშენებლობის ფორმებისა და საშუალებების, ბოლშევიკთა პარტიის საბოლოო მიზნის რეალიზაციის ძირითადი ისტორიული ვადების შესახებ.

ამხილა რა თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული პარტიების იდეოლოგთა უბადრუკი, ანტიმეცნიერული „თეორიები“ კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანად გადასვლის შესახებ, თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასობრივ ინტერესთა ჰარმონიის შესახებ, მშრომელთა უუნარობის შესახებ დაიპყრონ ძალაუფლება და დამოუკიდებლად აშენონ ახალი ცხოვრება, ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ მხოლოდ კომუნისტური რევოლუციის ცეცხლში ისპობა ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოება და იქმნება აუცილებელი პოლიტიკური წანამძღვარები კომუნიზმის მშენებლობისათვის.

თავის ნაშრომებში ამხანაგმა სტალინმა დაგვანახვა, რომ კომუნიზმი სისხლსა და ხორცს ისხამს მუშათა კლასის დიქტატურის საშუალებით. მხოლოდ თავისი დიქტატურის მეოხებით აქვს მუშათა კლასს შესაძლებლობა დათრგუნოს ექსპლოატატორები, მოაწყოს ქვეყნის მძლავრი თავდაცვა, განამტკიცოს კავშირი სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან, განამტკიცოს მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, განახორციელოს გადასვლა არა მარტო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, არამედ იბრძოლოს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლისთვისაც.

საბჭოთა ქვეყნის წინაშე ბოლშევიკების პარტიის წინაშე სოციალიზმის მშენებლობის პროცესში წამოიჭრა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის საკითხები, რომლებსაც უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერული სოციალიზმის ბედიღბლისათვის: სოციალისტური რევოლუციის განვითარების რა საფეხურზეა რეალურად შესაძლებელი კომუნიზმის პირველი ფაზის მშენებლობის დამთავრება და მის მეორე, უფრო მაღალ ფაზაზე გადასვლა? როგორია ექსპლოატატორული კლასებისა და მათი ნაშთების სრული ლიკვიდაციის გზები და ფორმები? როგორია კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული ვადები და მამოძრავებელი ძალები? ყველა ეს საკითხი არ შეიძლებოდა წამოჭრილიყო მარქსისა და ენგელსის სიცოცხლეში. ეს საკითხები წამოიჭრა ჩვენს დროს და სრული გაშუქება ჰპოვა ამხანაგ სტალინის შრომებში, რომლებმაც შეაიარაღეს პარტია საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის.

ამხანაგმა სტალინმა დაამუშავა არა მარტო საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის როლის შესახებ კომუნიზმის მშენებლობაში სოციალისტური სახელმწიფოს როლის შესახებ, არამედ აგრეთვე გამოავლინა ამ სახელმწიფოს განვითარების დიალექტიკა განვითარების სხვადასხვა სტადიებზე, მიგვითითა რა თავის მოხსენებაში XVIII ყრილობაზე სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების საფეხურებზე, მისი ფორმების, ფუნქციებისა და ამოცანების ცვლილებაზე. ამხანაგმა სტალინმა დაამუშავა და შემდგომ განავითარა მარქსისტულ - ლენინური თეორია სახელმწიფოს შესახებ, ეყრდნობა რა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის გამოცდილებას, შეიმუშავა მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ კაპიტალისტურ გარემოცვაში.

○

ამხანაგ სტალინის წიგნი „ლენინიზმის საკითხები“ არის ნაწარმოები, რომელიც მკაფიოდ ახასიათებს უმაღლეს საფეხურს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების განვითარებაში. ვისაც სურს შეიცნოს ნამდვილი მეცნიერება საზოგადოების შესახებ, ვისაც სურს ისწავლოს მუშაობა და გამარჯვება, როგორც გვასწავლიდნენ მარქსი და ლენინი, მას არ შეუძლია არ შეუდგეს ამ შესანიშნავი წიგნის გაღრმავებულ შესწავლას, სიყვარულით შესწავლას. ეს შრომა მარქსიზმ-ლენინიზმის ზეიმია, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის გამარჯვების სიმღერაა. ამ წიგნისაკენ იზიდავს მშრომელთ მასში განზოგადებული დიადი საარსებო სიმართლე. სწორედ ამიტომ თვითეული ბოლშევიკი დაუღალავად იკრებს ძალას მარქსისტული ცოდნის ამ საგანძურიდან. სწორედ ამიტომ ყოველ შეგნებულ მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს უნდა ჰქონდეს ეს წიგნი, სწავლობდეს მის მგზნებარე იდეებს, ხელმძღვანელობდეს ამ იდეებით თავის ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

გ. ალექსანდროვი

„პრავდა“.

◆

ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ თემთა პალატაში გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ჩემბერლენი, რომელმაც მორიგი განცხადება გააკეთა საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ.

შეეხო რა ინგლის-საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომას, ჩემბერლენმა სთქვა, მიღწეულია შეთანხმება სამხედრო ქონებით მომარაგების საქმეში ორივე მთავრობის ღონისძიებათა კოორდინაციის საკითხში.

შემდეგ ჩემბერლენმა მოიხსენია სადემარკაციო ხაზი, რომელზედაც ლაპარაკია გერმანია-საბჭოთა კავშირის 23 სექტემბრის კომუნიკეში, და აღნიშნა, რომ საბჭოთა ჯარი ყველგან წინ მიიწევს.

შეეხო რა დასავლეთის ფრონტზე არსებულ მდგომარეობას, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ გრძელდება ნორმალური ზვერვითი ოპერაციები და პატრულირება წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის მიზნით. ეს უკანასკნელი ხორციელდება სამხედრო-საზღვაო ფლოტთან თანამშრომლობით. აღნიშნა რა, რომ ინგლისის მფრინავმა ნავებმა გადაარჩინეს ინგლისის ჩაძირული გემის „კენსინგტონ კორტის" ეკიპაჟი, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ კვლავ მოხდა მრავალი თავდასხმა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებზე. წარსული ომის დროიდან დიდი პროგრესი თვითმფრინავთა ფრენის სისწრაფისა და ხანგრძლივობის, აგრეთვე მათი საიმედოობის მხრივ საშუალებას აძლევს მათ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლაში. ნაპირების პატრულირება საზღვაო ფლოტს დიდ დახმარებას უწევს წყალქვეშა ნავებთან ბრძოლაში.

დომინიონებში, განაცხადა ჩემბერლენმა, მზადება სულ უფრო-და-უფრო მზარდი ტემპებით გრძელდება. დომინიონების სამხედრო გემები თანამშრომლობენ ინგლისის ფლოტის გემებთან.

შეჩერდა რა ეკონომიური ომის სამინისტროს მოღვაწეობაზე, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ იგი შექმნილია ორი წლის წინათ და მისი ფუნქციები საერთოდ ანალოგიურია იმ ფუნქციებისა, რომლებსაც ბლოკადის სამინისტრო ახორციელებდა წარსული ომის დროს. სამინისტროს საერთო მიზანს წარმოადგენს გერმანიის ეკონომიკის დეზორგანიზაცია იმდენად, რომ გერმანიისათვის შეუძლებელი გახადოს ომის წარმოება.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ გადაჭარბებულ ოპტიმიზმს არ უნდა ექნეს ადგილი, რადგან გერმანიას აქვს მარაგი სხვადასხვა სახის ნედლეულისა, რომლის იმპორტიც მას სჭირდება, და რომ, მაშასადამე, არ უნდა მოველოდეთ ეკონომიური ომის სამინისტროს საქმიანობის სწრაფ შედეგებს. — ჩვენი გაბატონებული მდგომარეობა ზღვაზე იმას ნიშნავს, რომ ომის დაწყების მომენტიდან გერმანია მოწყვეტილია მომარაგების მრავალ წყაროს,—სთქვა ჩემბერლენმა.

შემდეგ პრემიერ-მინისტრი შეეხო ცვლილებებს მრეწველობის მუშაობაში და მრეწველობის მობილიზაციას საომარი მიზნებისათვის.

ჩერჩილი ინგლის-გერმანიის საზღვაო ომის შესახებ

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ჩერჩილის განცხადებას ინგლისის თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე. აღნიშნა რა, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩაძირეს გერმანიის მთელი რიგი წყალქვეშა ნავები, ჩერჩილი შეეხო საკითხს ინგლისის დანაკლისთა შესახებ. მან აღნიშნა, რომ ომის პირველი კვირის განმავლობაში ინგლისის ნაოსნობის დანაკლისი გამოიხატებოდა 65 ათასი ტონით, მეორე კვირის განმავლობაში —46 ათასი ტონით. მესამე კვირის განმავლობაში—21 ათასი ტონით, ხოლო უკანასკნელი ექვსი დღის მანძილზე—9 ათასი ტონით.

დასასრულ ჩერჩილმა დაჟინებით მოითხოვა, რომ აუცილებელია, მიღებულ იქნას ინგლისის საზღვაო გემთმშენებლობის დიდი პროგრამა და რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს ეს პროგრამა.

გერინგის ოფიციალური განცხადება ინგლისის სამხედრო გემებზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის შესახებ

ბერლინი, 28 სექტემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის სააგენტო ტრანსოცეანი რადიოთი გადმოგვცემს, ჩერჩილის მტკიცება, რომ გერმანიის ყუმბარმშენთა თავდასხმა ინგლისის სამხედრო გემებზე ჩრდილოეთ ზღვაში მარცხით დამთავრდა, და რომ მხოლოდ ერთი ყუმბარა მოხვდა ნიშანში, მაშინ როდესაც ინგლისელებმა გერმანიის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, აიძულა გერმანიის საჰაერო ძალების მთავარსარდალი ფელდმარშალი გერინგი შემდეგი ოფიციალური განცხადება გამოექვეყნებინა:

„ინგლისის ავიამზიდს მოხვდა 500-კილოგრამიანი ყუმბარა. ორი ყუმბარა თვითეული 250-კილოგრამიანი მოხვდა სახაზო გემის შუა ნაწილსა და გვერდს. ასეთი მძიმე ყუმბარების მოხვედრის შედეგები განმარტებას არ საჭიროებს, ინგლისელებს არ ჩამოუგდიათ გერმანიის არცერთი თვითმფრინავი. ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა".

გერმანიის ცნობა ჰოლანდიის თვითმფრინავებისათვის სროლის ატეხის შესახებ

ბერლინი, 27 სექტემბერი (საკდესი). გამოქვეყნდა გერმანიის ოფიციალური განმარტება ჰოლანდიის სამგზავრო თვითმფრინავისათვის სროლის ატეხის შესახებ, რაც 26 სექტემბერს მოხდა. განმარტებაში ნათქვამია, რომ ეს ინციდენტი იმის შედეგი იყო, რომ თვითმფრინავი თავისი კონსტრუქციით წააგავდა მტრის სამხედრო თვითმფრინავის კარგად ცნობილ ტიპს. გარდა ამისა, დიდ დისტანციაზე შეუძლებელი იყო ნეიტრალური სამგზავრო თვითმფრინავის გამოსაცნობი ნიშნების გარკვევა. შთაბეჭდილებას, რომ თვითმფრინავი მტრისაა, აძლიერებდა ის, რომ მან, შენიშნა რა გერმანიის სამხედრო თვითმფრინავი, შეეცადა გაქცეოდა მას და მიიმალა ღრუბლებში. გერმანიის თვითმფრინავის ეკიპაჟმა დაუყოვნებლივ შეწყვიტა სროლა, როცა დარწმუნდა, რომ თვითმფრინავი ჰოლანდიისაა.

გერმანიის თვითმფრინავთა თავდასხმა ინგლისის ესკადრაზე ჩრდილოეთ ზღვაში

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში საზღვაო მინისტრს მისცეს კითხვა, შეუძლია თუ არა მას გააკეთოს განცხადება გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობის შესახებ, რომლის თანახმადაც გერმანიის მფრინავმა ნავებმა ინგლისის ავიამზიდი ჩასძირეს ჩრდილოეთ ზღვაში, სერიოზულად დააზიანეს სახაზო გემი და თავიანთ ბაზებზე დაბრუნდნენ სავსებით უვნებელნი. პასუხით გამოსულმა ჩერჩილმა განაცხადა: ინგლისის ფლოტის სარდლისაგან მიღებული რადიოცნობის თანახმად, ჩრდილოეთის ზღვის შუა ნაწილში ინგლისის ესკადრას თავს დაესხა გერმანიის 20 მფრინავი ნავი. ინგლისის ესკადრა შესდგებოდა სახაზო გემებისაგან, ავიამზიდის, კრეისერებისა და საესკადრო ნაღმოსნებისაგან. ინგლისის არცერთი გემი არ დაზიანებულა. არავითარი მსხვერპლი არ არის ესკადრის პირად შემადგენლობაში. ბრძოლის შედეგად გერმანიის ერთი მფრინავი ნავი ჩამოგდებული იქნა, მეორე მფრინავი ნავი სერიოზულად დაზიანდა. კიდევ ერთი მფრინავი ნავი ზღვაში ჩავარდა და მისი ეკიპაჟი 4 კაცის შემადგენლობით ტყვედაა წამოყვანილი.

საფრანგეთის საზღვაო-სამინისტროს ცნობა

პარიზი, 27 სექტემბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო პარიზიდან იუწყება, საფრანგეთის საზღვაო სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ საომარი მოქმედების დაწყებიდან საფრანგეთის ფლოტის მიერ დაკავებულია 100 ათასი ტონა კონტრაბანდული საქონელი, მათ შორის 24 ათასი ტონა თხევადი სათბობი.

დროგობიჩი ნავთის ქალაქია

(ცნობა)

დასავლეთ უკრაინის სამხრეთ ნაწილში კარპატის მთის კალთებზე არის ნავთის მდიდარი სამრეწველო რაიონი. მისი ცენტრია ქალაქი დროგობიჩი, რომელიც დნესტრის ზედა წელში მდებარეობს. ქალაქში 35.000 მცხოვრებია.

დროგობიჩი ფართოდ ცნობილი გახდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ამ რაიონში აღმოჩენილ იქნა ნავთის უმდიდრესი წყაროები.

აქეთკენ გამოეშურა მრავალი სპეკულანტი და ვაჭარი. ისინი გლეხებისაგან ყიდულობდნენ მიწებს ქალაქის მიდამოებში. 1909 წელს დროგობიჩის რაიონში უკვე იყო ნავთის 325 საწარმო.

ნავთის სარეწაოები მდებარეობენ დროგობიჩის ახლოს — ბორისლავში, საიდანაც ნავთი ნავთსადენით მიდის დროგობიჩში. იქ ხდება მისი გადამუშავება ორ ნავთსახდელ ქარხანაში. ნავთის მრეწველობაში 7.000-ზე მეტი კაცი მუშაობს.

დროგობიჩის რაიონი იძლეოდა უმეტეს ნაწილს პოლონეთის ნავთისა (80 პროც.), ნატურალური გაზისა და ქვამარილისას. დროგობიჩის მთიან რაიონში არის ევროპაში ერთად-ერთი საბადო ოზოკერიტისა (მთის ცვილი — ნედლეული პარაფინის, ცერეზინისა და სხვ. დასამზადებლად). გარდა ამისა, დროგობიჩში არის აგრეთვე ტყავეულობისა და კვების პროდუქტების საწარმოები.

დასავლეთ უკრაინის ამ მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონის ეკონომიკა უმოძრაობას განიცდიდა. ნავთის რაიონების ექსპლუატაცია მტაცებლური წესით სწარმოებდა, ნავთის სააქციო საზოგადოებებში მთავარი ადგილი (86 პროცენტი) უცხოეთის კაპიტალს, უმთავრესად საფრანგეთის კაპიტალს ეკავა. ნავთის ამოღება წლითი-წლობით ეცემოდა. თუ 1909 წელს ამოღებულ იქნა დაახლოებით 1,5 მილიონი ტონა ნავთი, შარშან ნავთის ამოღება 400.000 ტონამდე შემცირდა.

24 სექტემბერს წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ დასავლეთ უკრაინის პროლეტარულ ცენტრში — დროგობიჩში. ქალაქში სწრაფად იქმნება ახალი ცხოვრება. დასახულია ღონისძიებანი დროგობიჩის სამრეწველო საწარმოთა სწრაფად აღდგენისათვის.

ამხ. ფილიმონოვმა რწმუნების სიგელი გადასცა შახს

თეირანი, 28 სექტემბერი (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ირანში ამხ. ფილიმონოვმა საზეიმო ვითარებაში ჩააბარა შახს რწმუნების სიგელი.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 28 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობას, სადაც ნათქვამია: „გუშინდელ ბრძოლებში სამხრეთ ფლანგზე, მდინარე სანის აღმოსავლეთით, ტყვედაა წამოყვანილი 500 ოფიცერი და 6 ათასი ჯარისკაცი. გარდა მე-41 დივიზიისა, ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ არმიის სარდალი, საზღვრისპირა დაცვის კორპუსის სარდალი, აგრეთვე მე-7 და მე-39 დივიზიის მეთაურები თავიანთი შტაბებითურთ. ვარშავა, რომელიც გუშინ ყოველივე პირობის გარეშე დაგვნებდა, დაკავებულ იქნება 29 სექტემბერს. ვარშავის გარნიზონში 100 ათასზე მეტი კაცი ითვლება. დღეს შუადღისას მოდლინის კომენდანტმაც განაცხადა სიმაგრის ჩაბარების შესახებ.

დასავლეთის ფრონტზე სერიოზული ბრძოლა არ ყოფილა. საჰაერო ბრძოლის დროს საარბრიუკენში ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი თვითმფრინავი.

საბრძოლო ავიაციის რაზმმა წარმატებით მიიტანა იერიში ბრიტანეთის მძიმე კრეისერზე კუნძულ მეის მახლობლად (შოტლანდიის სანაპიროსთან). 250-კილოგრამიანი ყუმბარა მოხვდა გემის წინა ნაწილს.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი, ლონდონელი და შანხაელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ხუნანის პროვინციაში იაპონიის ჯარი განაგრძობს წინსვლას ჩანშის მიმართულებით. ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში მათ შესძლეს გადაელახათ მდინარე სინძიანი და გასულიყვნენ ამნაირად კანტონ-ხანკოუს რკინიგზის ხაზზე. შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებს 8 კილომეტრზე სინძიანშის დასავლეთით (იოჯოუს სამხრეთით). ამავე დროს იაპონელთა მეორე რაზმი 3 ათასი კაცის შემადგენლობით შეტევას აწარმოებს ჩანლოძეზე (სინძიანშის სამხრეთ-აღმოსავლეთით). 25 სექტემბერს ბრძოლაში ფრონტის სინძიანშისა და მილოს შორის მდებარე უბანში იაპონელებს 2.000-ზე მეტი კაცი მოუკლეს.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იაპონელები ამ უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში შეუპოვრად ცდილობდნენ ჩინეთის ჯარის ნაწილებისაგან ხუნდუნ-ტუნლიუს გაწმენდას და გზატკეცილზე ნორმალური მიმოსვლის აღდგენას. მიუხედავად გააფთრებული ბრძოლისა, რომელშიც იაპონელებს 1000-ზე მეტი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს, მათ მაინც ვერ შესძლეს ამ რაიონის დაკავება.

სამხრეთ ჩინეთში

ჩინეთის ჯარს კვლავ რკალში ჰყავს მომწყვდეული იაპონიის გარნიზონი ჩაოჯოუში (სვატოუს ჩრდილოეთით). იაპონიის ალყაშემორტყმული ჯარი სურსათ-სანოვაგის ძლიერ ნაკლებობას განიცდის. 25 სექტემბერს ჩაოჯოუს გარნიზონის დასახმარებლად იაპონიის სარდლობამ 1000-მდე მეზღვაური გაგზავნა, მაგრამ ჩაოჯოუს მიმავალ გზაზე მათი უმრავლესობა გაიქცა. იაპონელებმა 100-მდე დეზერტირი შეიპყრეს და დახვრიტეს.

კომუნისტური პარტიის აკრძალვის გამო საფრანგეთში

პარიზი, 28 სექტემბერი (საკდესი). როგორც ვიცით, 26 სექტემბერს საფრანგეთის მთავრობამ გამოიტანა გადაწყვეტილება კომუნისტური პარტიისა და ყველა მისი მომხრე ორგანიზაციის დაშლის შესახებ. გამოქვეყნებულია საგანგებო დეკრეტი, რომლითაც აკრძალულია „ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიზნად ისახავს კომუნისტური ლოზუნგების გავრცელებას".

საფრანგეთის მთელი რიგი გაზეთები მოითხოვენ აგრეთვე მიღებულ იქნას ღონისძიებანი პარლამენტის დეპუტატი კომუნისტების წინააღმდეგ. გაზეთ „ჟურ-ეკო დე პარის" განცხადებით, „მთავრობა ჰფიქრობს, დეე თვით პალატის დეპუტატებმა აღძრან საკითხი იმის შესახებ, რომ კომუნისტებს დეპუტატთა უფლებები ჩამოერთვათ".

სოციალისტების ლიდერი ბლიუმი სოციალისტური პარტიის ორგანო „პოპიულერში" სწერს, რომ „მთავრობის ღონისძიებებში მოულოდნელი არაფერია", და რომ „ჩვენი პარტიის უმეტესობა ბუნებრივად და კანონიერად მიიჩნევს ამ ღონისძიებასო".

სსრ კავშირის ვარშავაში მყოფი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელნი კენიგსბერგს გაემგზავრნენ

ბერლინი, 27 სექტემბერი (საკდესი). ვარშავიდან დაბრუნებული უცხოელი დიპლომატები იუწყებიან, რომ საბჭოთა საელჩოს 62 თანამშრომელი, მათ შორის 22 ქალი 23 ბავშვითურთ, უკანასკნელ დღეებში გარშემორტყმული იყვნენ შეიარაღებული ხალხით ვარშავის საბჭოთა საელჩოს ძალზე დაზიანებული შენობის სარდაფში და ამიტომ ვერ შესძლეს უცხოეთის დიპლომატიურ კორპუსთან ერთად დაეტოვებინათ ქალაქი.

მაგრამ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის დახმარებით 26 სექტემბერს 11 საათზე საბჭოთა საელჩოს 62 თანამშრომელი გადავიდა გერმანიის პოზიციების ხაზზე და შემდეგ კენიგსბერგს გაემართა.

გერმანიის სამხედრო ადმინისტრაცია პოლონეთში

ბერლინი, 28 სექტემბერი (საკდესი). როგორც ტრანსოცეანის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს, გუშინ ოფიციალურად იქნა განცხადებული, რომ ჰიტლერის განკარგულებით ყველა ოკუპირებულ პოლონეთის ყოფილ პროვინციაში სამხედრო ადმინისტრაცია არსდება. გერმანიის აღმოსავლეთ არმიის სარდალი გენერალი რუნდშტედტი ინიშნება სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელად, უპორტფელო მინისტრი ფრანკი დანიშნულია გენერალ რუნდშტედტის მთავარ ტექნიკურ მრჩევლად.

ინგლისის თვითმფრინავები გადაფრინდნენ ბელგია-გერმანიის საზღვარზე

ბერლინი, 27 სექტემბერი (საკდესი). ბრიუსელიდან გადმოგვცემენ, რომ 26 სექტემბერს ინგლისის დიდძალი თვითმფრინავები კვლავ გადაფრინდნენ ბელგიისა და გერმანიის საზღვარზე. გერმანიის საზენიტო არტილერიამ სროლა აუტეხა ინგლისის თვითმფრინავებს, რომლებმაც ბელგიის ტერიტორიაზე 4 ყუმბარა ჩამოაგდეს და უკან გაბრუნდნენ.

დასავლეთის ფრონტზე

ბერლინი, 27 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს ნეიტრალური ქვეყნების ჟურნალისტებმა ინახულეს სამხედრო ნავსადგური კილი, რომელზედაც, ინგლისის წყაროების ცნობებით, ვითომ საჰაერო თავდასხმა მოეხდინოთ. ჟურნალისტებს კილში ყოფნის დროს შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება და რომ კილში მტრის არცერთი თვითმფრინავი არ გამოჩენილა. ქალაქის მოსახლეობა მეტად გაკვირვებული იყო, როცა გაიგო, თითქოს ყუმბარები დაეშინოთ ქალაქისათვის.

ბერლინი, 28 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ნეიტრალური ქვეყნების ჟურნალისტები დღეს იყვნენ ფრიდრიხსჰაფენში, რათა შეემოწმებინათ საფრანგეთის ცნობა. სადაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის ყუმბარმშენებმა მოახერხეს დაენგრიათ დირიჟაბლსაშენში „ცეპელინი". პრესის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ფრიდრიხსჰაფენის დირიჟაბლსაშენში მათ ვერ აღმოაჩინეს ყუმბარების ვერავითარი კვალი. ბომბარდირების არავითარი კვალი არ არის აღმოჩენილი აგრეთვე დირიჟაბლსაშენის არც ახალს, არც ძველს საცეპელინო საამქროში. როგორც თვით ქალაქ ფრიდრიხსჰაფენში, ისე დირიჟაბლსაშენშიც ცხოვრება და მუშაობა ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობს. მოსახლეობასთან ლაპარაკით ირკვევა, რომ 24 სექტემბერს საღამოს 9 საათზე ფრიდრიხსჰაფენში ატყდა საჰაერო განგაში, რომელიც გამოწვეული იყო მტრის ერთი თვითმფრინავის გამოჩენით კონსტანცში, და არა ფრიდრიხსჰაფენში. ფურცლები ვერსად ვერ იპოვნეს. არ არის არეულობისა და შეშფოთების სულ მცირე ნიშანიც კი.

პარიზი, 28 სექტემბერი (საკდესი).. ჰავასის სააგენტო პარიზიდან გადმოგვცემს საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის ოფიციალურ ცნობას, სადაც ნათქვამია: „27 სექტემბერი, საღამო. დღევანდელი დღე აღინიშნა ჩვენი მზვერავი შენაერთების აქტივობით".



პარიზი, 28 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს დღეს გამოქვეყნებულ შემდეგს ოფიციალურ კომუნიკეს საომარი მოქმედების შესახებ. „ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა ფრონტის მთელ ხაზზე. მოწინააღმდეგის იერიში საარბრიუკენის დასავლეთით მარცხით დამთავრდა. ზღვაზე განახლდა რეგულარული სავაჭრო ნაოსნობა იმის მეოხებით, რომ მოეწყო საზღვაო და საჰაერო კონვოირებისა და პატრულირების სისტემა. გუშინ ნაშუადღევს საფრანგეთისა და ინგლისის საზღვაო ფლოტმა საერთო მოქმედებით ჩამოაგდო მოწინააღმდეგის რამდენიმე ავიაგამანადგურებელი. მთელი ღამის განმავლობაში აღინიშნებოდა ჩვენი მზვერავი ავიაციის აქტივობა".

რთველი ხირსაში

სიღნაღის რაიონის ხირსის ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში რთველი მასობრივად დაიწყო, 269 ჰექტარზე ასალებია ყურძნის უხვი მოსავალი.

მეურნეობის მუშაკებმა დროულად დაამთავრეს ახალი მარნის მშენებლობა. 208-ქვევრიანი მარანი დაკვრითი წესით ააშენეს.

ხირსაში წელს ყურძნის საუკეთესო მოსავალია. გეგმით ჰექტარზე საშუალოდ უნდა მიიღონ 73 ცენტნერი ყურძენი, ფაქტიურად მოსალოდნელია 100 ცენტნერი.

ცალკეულ ნაკვეთებზე უმაგალითო მოსავალს ღებულობენ: პირველ ნაკვეთზე გეგმით გათვალისწინებული იყო 80 ცენტნერი, მიღებულია 126 ცენტნერი, მეოთხე ნაკვეთზე მიღებულია 98 ცენტ. მე-44 ნაკვეთზე—112 ცენტ.

მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან მკრეფავები პ. სუხოვენკო (დღიურ ნორმას 120 პროცენტით ასრულებს), ვ. რიზანკინა (173 პროც.), პ. დემჩენკო (200 პროც.), დ. კაპივინი (180 პროც.) და სხვ.

მ. საკოვი

სასამართლო

საკადრისი მიიღეს

პურის დუქანი № 45, ჟორესის ქუჩაზე, უნივერმაღის წინ, სპეკულანტებმა თავის თავშესაფარად გადააქციეს.

საგამომძიებლო ორგანოების მიერ გამორკვეულ იქნა, რომ პურის გამყიდველი მ. აილიანი, წერტის გამგე ი. ზამთარაძესთან შეთანხმებით დღიურ ნავაჭრ ფულს აძლევდა სპეკულანტ ს. კაკაბაძეს. ს. კაკაბაძეს მეორე მის ამხანაგ დ. კოპალეიშვილთან ერთად უნივერმაღიდან გამოჰქონდა სხვადასხვა სამრეწველო საქონელი. შემდეგ ი. ზამთარაძისა და მ. აილიანის დახმარებით ამ საქონელს სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდნენ პურის წერტშივე. საქონლის გამოტანაში მათ ეხმარებოდა უნივერმაღის მცველი შ. დევიძე.

ამ დღეებში ეს საქმე გაარჩია მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. თ. გავაშელისა და სახელმწიფო ბრალმდებელის—პროკურორ ჯ. პაჭკორიას მონაწილეობით.

სასამართლომ მ. ი. აილიანს, ს. მ. კაკაბაძეს, კოპალეიშვილს და ი. ე. ზამთარაძეს მიუსაჯა 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა მთელი ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

შ. დევიძის საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

გ. ბადრიძე

* * *

ორი გვარით

ამ დღეებში თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის კლუბში ლენინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. იულია სიხარულიძის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის — ლენინის რაიონის პროკურორის ამხ. პ. ლეჟავას მონაწილეობით საჯარო-საჩვენებელი პროცესით გაარჩია სპეკულანტ აბრამ მიხეილის-ძე ხიხინაშვილის საქმე.

ხიხინაშვილი პროფესიონალი სპეკულანტი იყო, რათა დაეფარა თავისი ბოროტმოქმედების კვალი და შეუმჩნეველი ყოფილიყო, მეორე გვარი მოიშველია; ის ხან აბრამ მიხეილის-ძე ხიხინაშვილად ასაღებდა თავს და ხან მიხეილ დავითის-ძე ხუნდაშვილად. მაგრამ საგამომძიებლო ორგანოების ფხიზელ თვალს არ გამოეპარა ეს თაღლითობა.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ხიხინაშვილი საქონლით დატვირთული სოფლად აპირებდა გამგზავრებას, მას მარშრუტი შეუცვალეს და თავი თბილისის რკინიგზის სამილიციო პუნქტში ამოაყოფინეს, გაჩხრიკეს და დიდძალი სამრეწველო საქონელი უპოვეს.

როგორც გამოირკვა, ის დიდხანს ეწეოდა „ფეხზე ვაჭრობას".

გაიძვერა სპეკულანტს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით მთელი პირადი ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

მ. სურგულაძე

ახალი წიგნები

გამომცემლობა „ფედერაცია" ამზადებს გამოსაცემად ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა სრული კრებულის აკადემიურ გამოცემას პ. ინგოროყვას წინასიტყვაობით, თეიმურაზ მეორის ნაწარმოებთა სრულ კრებულს გ. ჯაკობიას რედაქციით და წინასიტყვაობით, ს. კლდიაშვილის რჩეულ პროზას, სადაც შევა: „სვანური ნოველები", „ფერფლი", „მოგონება დ. კლდიაშვილზე" და სხვ.

გამოსაცემად მზადდება აგრეთვე შ. დადიანის თხზულებათა I ტომი და აბატ პრეოს „მანონ ლესკო", თარგმნილი ფრანგულიდან ქ. ირემაძის მიერ.

ამასთან „ფედერაცია" პირველად ცალკე წიგნად გამოსცემს საბა-სულხან ორბელიანის „მოგზაურობას ევროპაში".

კომბინატორები

საბურთალოს რაიონის ზედა-ვეძისის უბანში მუხთარ სარი-ოღლის ბინაში (სახლი № 71) ყოველდღე შეიმჩნეოდა ყველის ყიდვა განუსაზღვრელი რაოდენობით. ყველით [illegible] დაინტერესდა მილიციის ორგანოები. მალე იქ სპეკულანტთა მთელი ბანდა აღმოაჩინეს. მუხთარ სარი-ოღლის, წარსულში კულაკს, ახლა გარკვეული საქმის არმქონეს, გაჩხრეკის დროს სახლში აღმოუჩინეს 464 კილოგრამი ყველი. როგორც გამოირკვა, ეს ყველი ჩამოტანილი იყო თბილისში სოფ. ჯანდარის (ყარაიას რ.) კოლმეურნეობიდან, სადაც მოკალათებული იყო კომბინატორ-სპეკულანტთა ჯგუფი კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ფირალი ალიევ ნურალი-ოღლის მეთაურობით; ჯგუფში შედიოდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ყურბან ბაირამ-ოღლი, ბუხჰალტერი უ. ისაევი, მოანგარიშე მ. მამედოვი და საწყობის გამგე გ. ნავრუზოვი.

მდიდარი კოლმეურნეობა, რომელსაც საკუთარი სარძეო ფერმა ჰქონდა, დიდძალ რძის ნაწარმს ამზადებდა. ეს პროდუქტები ურიგდებოდა კოლმეურნეებს გამომუშავებულ შრომადღეებზე, ხოლო ზედმეტი საღდებოდა ბაზარზე.

მალე რძის პროდუქტების რეალიზაციის საქმეში ჩაერივნენ კოლმეურნეობასთან მიტმასნილი გარეწრები, რომლებიც „თავისი კაცის" მუხთარ სარი-ოღლის დახმარებით ეზიდებოდნენ ყველს თბილისში, სადაც მას სპეკულანტურ ფასებში ჰყიდდნენ. აღებული ფულის ნაწილი შეჰქონდათ კოლმეურნეობის სალაროში, უფრო მეტ ნაწილს კი ითვისებდნენ.

მოკლე დროის განმავლობაში სპეკულანტებმა ამ წესით 2000-მდე კილოგრამი ყველი გაასაღეს.

სპეკულანტები დაპატიმრებული არიან. მათი საქმის გამოძიება დამთავრებულია და საქმე გადაცემული აქვს სასამართლოს.

სპეკულაციის გარდა მათ ბრალად ედებათ მთელი რიგი თანამდებობრივი დანაშაულობანი.

შ.—ს.

თეატრალურ მუზეუმში

მუდმივი ქართული თეატრის დაარსებიდან 60 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალურ მუზეუმში მოეწყობა გამოფენა, სადაც ნაჩვენები იქნება ქართული თეატრის განვითარების პირველი დამახასიათებელი ნაბიჯები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება თეატრის ცალკეულ მსახიობთა მოღვაწეობისა და საგასტროლო მოგზაურობის მასალები. გამოფენილი იქნება აგრეთვე აფიშები, პროგრამები, რეცენზიები, სხვადასხვა დოკუმენტები, ქართული დრამატიული საზოგადოების სხდომების ოქმები, პიესები, რომლებიც დადგმული იყო ქართულ სცენაზე და სხვ.

თეატრალური მუზეუმის დაკვეთით მხატვრებმა ლ. გუდიაშვილმა, ა. სანაძემ, კ. მაღალაშვილმა, ს. მოსაშვილმა და სხვებმა გამოფენისათვის უკვე დაამზადეს ქართველი მსახიობების ვასო აბაშიძის, მ. საფაროვის, ნ. გაბუნიას და სხვ. ფერადი პორტრეტები.

ამჟამად მიმდინარეობს ექსპონატების შერჩევა.

ლექცია

30 სექტემბერს, დღის 1 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის № 86 აუდიტორიაში პროფ. მ. გოგიბერიძე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „მატერიალისტური დიალექტიკის ოთხი ძირითადი ნიშანი".

შესვლა თავისუფალია.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — მთის მარში, **ოქტომბერი** — კატერინა, **დამკვრელი** (საზ.)—კაპიტან გრანტის შვილები, **დამკვრელი** (ზამთრ.)—ცხარე დღეები, **კომკავშირელი** (საზ.)—მთის მარში, **კომკავშირელი** (ზამთრ.)—მთის მარში, **სპარტაკი**—ვაჟკაცობა, **რ. ლუქსემბურგის სახ.**—მტკიცე ხასიათის ქალიშვილი, **26 კომ. სახ.**—უკანასკნელი ღამე, **კომინტერნი** — ტრაქტორისტები, **ს. ორჯონიკიძის სახ. კ. დ. ც. პ.**—ვოლგა, ვოლგა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ა.-წ. 1 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მორიგი პლენუმი.**

დღის წესრიგი:

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ რაიონში (მომხს.—რაიკომის მდივანი ამხ. გალუსტოვი).

პლენუმი შესდგება რაიკომის სხდომათა დარბაზში (ა.-კ. ფედერაციის ქ. № 2).

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

29/IX	30/IX	2/X
მუდმ. ადგ. ტალონი № 9	მუდმ. ადგ. ტალონი № 10	მუდმ. ადგ. ტალონი № 11
ოტელო	**ნაპერწკლიდან**	**შემოდგომის აზნაურები**

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)

საზაფხულო თეატრი

სახ. ოპერეტის თეატრის წარმოდგენა 29 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 124 უკანასკნელად **ცისფერი მაზურკა** მუს. კომ. 3 მოქმ.	30 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 125 საზაფხულო სეზონის დახურვა უკანასკნელად **პერიკოლა** მუს. კომ. 4 მოქმ. სამხ. ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი დასაწყისი სალ. 9 საათზე.

ღია ესტრადა

29 და 30 სექტემბერს **დიდი საღამო კონცერტი** დასაწყისი 9 ს. 30 წ.

ბილეთების წინასწარ შეძენა დილის 11 ს-დან 3 ს-დე, სალ. 6 საათ. 11 საათამდე

ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

29 სექტემბერს	30 სექტემბერს	2 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 6	მუდმ. ადგ. ტალ. № 7	მუდმ. ადგ. ტალ. № 8
ჯავშნოსანი პოტიომკინი	**ტრავიატა**	**დაისი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში.
სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

სარეწაო საბჭოს სისტემის არტელ „საზკვების" წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად
ლიკვიდირებულია არტელი „საზკვება"
ა. წ. 24 სექტემბრიდან.
ყოველივე პრეტენზიები ორგანიზაციებიდან და ყველა პირებიდან მიიღება ა. წ. 10 ოქტომბრამდე.
ლიკვიდკომის მისამართი: მუხრანის ქ., № 9.
3245 ლიკვიდკომი.

დაკარგულია წალენჯიხის რაიალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მრგვალი ბეჭედი ჩ/გ. 3212

დაკარგულია სსს რესპუბლიკური მშაჩის არქივის მრგვალი ბეჭედი ჩ. გ. 3246

შვილი გივი მჭედლიძე, ძმა აკაკი მგალობლიშვილი ოჯახით, დები ოლღა, საშა, ნინო ოჯახებით იუწყებიან, რომ 30/IX 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ **ნადია მგალობლიშვილი-მჭედლიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 3250

დამწუხრებული ათინა ერისთავისა, რძალი ლიდა ამირეჯიბი შვილებით იუწყებიან, რომ საყვარელ **ალექსანდრე (სანდრო), ლიზიკო და გუგული ერისთავების** სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 30/IX 2 ს. ქ. ქუთაისში ძელქვიანის სასაფლაოზე. 3263

შვილები პეტია, დარიკო, ნუცა, კატუშა, თამარ, ჟორიკო, ანეტა, კაკო ოჯახობით იუწყებიან საყვარელ **ვასასი ისიდორეს-ასულ ზედგინიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/X 4 ს. მატერიალური შეს. № 6. პანაშვიდი 7 ს. 3264

მეუღლე ესმა, სიძე საშა უბილავა, შვილი მერი, შვილიშვილები იუწყებიან დაუვიწყარ **თომა დავითის-ძე ბარამიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 29/IX 5 ს. კამოს ქ. ელექტრონის შესახვევი, 4, დაკრძალვა 2/X ქ. ლანჩხუთში. 3266

მეუღლე კატო შვილებით, დედა ეშხიანი, ძმები გიორგი, მიხეილ, შალვა, ცოლშვილით და შაქრო მაქაბერიძეები იუწყებიან, რომ 30/IX ს. შრომაში (სადგ. ძირულა) დანიშნულია **ვლადიმერ ბიჭიას-ძე მიქაბერიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 3265

დეიდები ანანო და მათო ქმრებით — ნიკოლოზ ლოლაძე ქალიშვილით და სანდრო სეფერთელაძე, ბიძა ალე აბაიაძე ცოლშვილით იუწყებიან, რომ ა. წ. 30 სექტემბერს 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფასი **თამრიკო ნაზგაიძის** სამოქალაქო პანაშვიდი.

მეუღლე ვიქტორ, შვილები: ვისისი, თამარი, ვალიკო, თენგიზ, ირაკლი გერსამიები, რძლები: გრაფო, თამარი, პაშა, სიძეები: ი. კანკავა, ვ. მაჭავარიანი იუწყებიან, რომ 30/IX დღის 1 საათზე ვაკის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ **ფატმან ბიჭიას-ასული გერსამიას** სამოქალაქო პანაშვიდი.

დარიკო სალარიძისა შვილებით არჩილით, შოთათი და ოთარით იუწყება საყვარელ დედის **ვასასი ისიდორეს-ასულ ზედგინიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/X 4 ს. მატერიალური შესახ., 6. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. 3261

შვილები ოლიკო, მერი, ქსენია, დადუ, ლიდა, ლუბა სვანიშვილები იუწყებიან, რომ 30/IX 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ **ნინო დავითის-ასულ სვანიშვილის** სამოქალაქო პანაშვიდი. 3259

მეუღლე ვალიკო წერეთელი, შვილები ლამარა, ნანული იუწყებიან საყვარელ **ანეტა მიხეილის-ასულ ჭყონია-წერეთლის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ლანჩხუთში 30/IX 2 ს. აგარაკის სასაფლაოზე. 3253

სიძე საშა, და ბაბულია ფოცხვერიები შვილებით ვასოთი და ლამარათი იუწყებიან, რომ 30/IX 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ **ინჟ. შალვა (შალიკო) რომანოზის-ძე შონვაძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 3248

მეუღლე ოლღა, შვილები ლიუბა, ლიუდა, ნათელა, სიძე სოსო წულეისკირი, შვილიშვილი დათუნა იუწყებიან, რომ 30/IX 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვასილ ჩიხაშვილის** სამოქალაქო პანაშვიდი. 3251

მეუღლე მარიამ, შვილი თამარ, სიძე გერვასი, შვილიშვილები ლამარა, ნანული კილაძეები იუწყებიან, რომ 30/IX ს. კორბოულში დანიშნულია დაუვიწყარ **ლავრენტი ალექსის-ძე ხარშილაძის** სამოქ. პანაშვიდი. 3252

მშობლები გრიშა, მარო, ძმები ალექსანდრე, ვასო, და თამარ, ბიძა პეპიკო, ბიცოლა ნატაშა ბოკუჩავები იუწყებიან, რომ 30/IX 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **შალიკო და გულიკო ბოკუჩავების** პანაშვიდი. 3257

ძმა პოლიკარპე, რძალი ქრისტინა რატიანები შვილებით გრიშათი, მარგალიტათი, ცუცუთი, შუშუთი და არჩილით, რძლით და სიძეებით იუწყებიან **ლიზა თათეიშვილის** გარდაცვალებას. 3247

საქვაჭრობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სილოვან სამადაშვილს მისი მამის **ნიკოლოზ სამადაშვილის** გარდაცვალების გამო. 3260

საქართველოს შამპანურის წარმოების კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კომბინატის თანამშრომელ ვალიკო წერეთლის მეუღლის **ანეტა წერეთლის** გარდაცვალებას. 3256

ლიმმანტრესტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ტრესტის მთ. ბუხჰალტერს ამხ. ა. ა. შავგულიძეს სიმამრის **გიორგი ივანეს-ძე კოტრიკაძის** გარდაცვალების გამო. 3249

მეუღლე აგრაფინა, შვილები ჯაჯანა, ამბერკი, დედა ოლინკა, ძმები ევგენი, ვალიკო, აკაკი ცოლშვილით იუწყებიან ძვირფას **ავქსენტი გიორგის-ძე ენუქიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X ს. ჩმაწმინდაში (საჩხერე). 3262

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-გ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული—ა—640